140
1970



3 · პიონერი · 1970



ამჯერად
ჩვენი
სტუმარია
საქართველოს
დამსახურებული
იურისტი
თამარ
ხოშტარია-
ცაგურია.

ერისთავ-ხოშტარიას ქუჩაზე ყოველდღე ტანმაღალი, წარმოსადეგი მანდილოსანი აივლ-ჩაივლის, მთლად თეთრ-სპეტაკი, მადლიანი, სახეკეთილი. ყველა ამუბნელი იცნობს, იციან, რომელ სახლში ცხოვრობს, ვისი შვილია.

მარტო კარგი დედ-მამის შვილობით როდი იცნობენ თამარ ხოშტარია-ცაგურიას.

ბევრი საქმის მტვირთველი ყოფილა, რიგითისა, ჩვეულებრივისა კი არა, — საქვეყნოსი, საზოგადოსი, ისეთისა, რომელთანაც მხოლოდ წმინდა, უანგარო გულით უნდა მიხვიდე.

და სწორედ რომ ასეც მოქცეულა. სამართალთან და კანონმდებლობებ-

# სამართლის ფუძეზე

ფოტო
ა. საკოვისა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

3 · მარტი · 1970

გამოცემის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ას ჰქონია ამ ქალს საქმე ორმოცამდე წლის განმავლობაში და თავის სინდისს ვერ უსაყვედურებს.

მამაც — დიმიტრი ხოშტარია (მწერლობაში დუტუ მეგრელად ცნობილი) იურისტი იყო, მისი ცხოვრება ქალიშვილს მაგალითად და სახელმძღვანელოდ მიუღია.

დედაც ხომ განთქმული ჰყავდა სათნოებითა და სულის სილამაზით. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, კარგი მწერალი და კარგი დედა, შვილისთვის მარად კეთილმოსაგონარ ხატად ქცეულა.

გორში ცხოვრობდნენ. მათს ოჯახს პატიოსნების დიდი ტრადიცია ჰქონდა. აქ თავს იყრიდნენ ჩვენი სასიქადულო მწერლები: აკაკი წერეთელი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, დავით კლდიაშვილი... ადამიანები, რომლებიც ქვეყნად ყველაზე დიდ სიმართლეს ეძებდნენ და მთელი სიცოცხლე მის ძებნასა და ქომაგობაში შემოეხარჯათ.

თამარი ბავშვობაში არაერთ სცენას წასწყდომია, როცა მისი მშობლები ესარჩლებოდნენ მართალთ, ჰკიცხავდნენ მოძალადეებს და ყოველივე ამას თავისი ქვეყნის სიყვარულით სჩადიოდნენ. აქამდე გულს ჩირჩენია მამის ლექსები, რომელთაც იქვე, მამისავე თანდასწრებით იზეპირებდა:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.

არაერთხელ გახსენებია ეს სტრიქონები ხან ძალზე გახარებულს, ხან ძალზე დასევდიანებულს. გახსენებია ფართო აივანი, აივნის წინ ყვავილების ბაღი, სამი მაღალი ნაძვი და უსაზღვრო ცა.

ამ ნაძვებმა ასწავლეს ოცნება. ზამთრობით, როცა მთელი ბუნება იძარცვებოდა, ნაძვები უცვლელად ინარჩუნებდნენ სიმწვანეს. გაჰყურებდა მათ გოგონა, ხან ქარით აქანავებულთ, ხან თოვლით დამძიმებულთ, და სიმაღლეზე და მარადიულობაზე ფიქრობდა.

ამ ნაძვების ხატი და მამის სტრიქონები თამარს თბილისშიაც ჩამოჰყვა. როცა გიმნაზიის მოსწავლე გაკვეთილების დამზადებისაგან მოიცლიდა, მოგონებები მაშინვე თავს წამოჰყოფდნენ, ისევ ეწვეოდა ფიქრები სამშობლოზე და მარადიულობაზე; მისი აზრით, ყველაზე დიდი, წმიდა და წარუვალი ამ ქვეყნად სამშობლო იყო, რადგან უიმისოდ თვით მეფურ ცხოვრებასაც არ ჰქონდა აზრი.

მერე ისევ მამისეულ სტრიქონებს უბრუნდებოდა. ახლა იგი იმხელაა, რომ ესმის სამშობლოს მდგომარეობა და წუხილიც შეუძლია თავისი ხალხის ბედზე. მათს ოჯახში ეს თემა მთავარი იყო. დედამისს, ერისთავის ასულს და დედით ბაგრატიონს, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ერისათვის თავდადების გრძნობა და სხვებსაც ამას ჩააგონებდა. ხშირ სტუმრობას აკაკი წერეთლისას, რომელმაც თამარის დედა სამწერლო ასპარეზზე გამოიყვანა, გიორგი წერეთელთან, დავით კლდიაშვილთან, ია ეკალაძესთან, ნიკო შიუკაშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან შეხვედრებს ამაოდ არ ჩაუვლია. გოგონას მეხსიერებას ბევრი დიალოგი შემოენახა საიმდროოდ, როცა ფიქრსა და განსჯას ისწავლიდა.

და თამარის მომწიფებული გონება გამუდმებით უტრიალებდა ერთსა და იმავეს: რას იზამდა, რომ საქართველოს მისგან თავდადება მოეთხოვა?

თავს, რასაკვირველია, გასწირავდა. მაგრამ ტყუილ-უბრალოდ სიკვდილი არ უნდოდა. აი ათი სამშობლოს ავისმდომი რომ გაესტუმრებინა საიქიოს, თავს ბედნიერად ჩათვლიდა. „მტერს თუ ხელგაუნძრევლად შემოაკვდი, ამით მხოლოდ სამშობლოს დააზარალებ. თუ ერთის მოკვლა მოასწარ და შემდეგ დაეცი, ეს ბარიბარში იქნება: არც იქით, არც აქეთ. ბრძოლას მხოლოდ მაშინ მოიგებ, თუ ორს, სამს და მეტს მეომარს ჩამოაშორებ ურჯულოს ლაშქარსო", ეტყოდა მას დიდედა ელისაბედ ბაგრატიონი, საპატიო მანდილოსანი მთელს შუაქართლში. დიდედის გახსენებას ერთი სურათიც მოსდევდა მუდამ წარმოდგენაში: მაღალ-მაღალი, საპატიო, ხანშიშესული ქალი მიდის დინჯად, სვენებ-სვენებით გორის ქუჩებში, ყველანი მოწიწებით ესალმებიან. როცა დიდედა შედგება, მცხოვრებლები ქუჩაში სკამებს მოარბენინებენ, ქალბატონი ხომ არ დაიღალაო.

აი, ეს დიდედა არიგებდა: მით უფრო კარგი მამულიშვილი დადგები, რაც უფრო დიდ ბოროტებას შეებმები. და გიმნაზიელს იპყრობდა სურვილი, სურვილი კი არა, ოცნება, — ყველაზე დიდ, საქვეყნოდ ცნობილ უსამართლობას შებრძოლებოდა და გაემარჯვნა. ამ დროს იგი დაახლოებით თოთხმეტი წლისა იყო. ათასცხრაას თექვსმეტი წელი იდგა.

ორი წლის შემდეგ კი თამარმა გიმნაზია ოქროს მედლით დაამთავრა და თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ვინ იყო მთავარი ადამიანი მის ცხოვრებაში?

ძნელია, განსაკუთრებით გამოვაცალკევოთ ვინმე.

პირველყოვლისა დედა — სათნო და კეთილი დედა, რომელიც სოფლელ ქალებში თანატოლივით ჩაჯდებოდა, მათს გაჭირვებას ისმენდა და დასავით ეხმარებოდა. მან შეაყვარა ადამიანები, მისგან მიიღო სიწმინდე სულისა.

დიდედა ელისაბედი — სიამაყე ისწავლა მისგან და პატივისცემა ერისა. ნიკო ლომოური — ხალხის სულში მისი ჩამხედებელი, მის ჭირთა მცოდნე, მესაიდუმლე და მეგობარი, გონას გონებას რომ მათს დამჩაგვრელ უსამართლობას მიაქცევდა.

მაგრამ ყველაზე დიდი წილი, როგორც ჩანს, მის ცხოვრებაში დაიდო მამამ, დიმიტრი ხოშტარიამ, რომელმაც ქალიშვილი ჯერ კიდევ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დამთავრებამდე სასამართლოს მდივნად გაამწესებინა და, ამრიგად, მისი მომავალი პროფესია განსაზღვრა. ექვსი წელი მუშაობდა ამ თანამდებობაზე და ძალზე მდიდარი პრაქტიკაც მიიღო, მომდევნო ათი წელი დამცველთა კოლეგიაში გაატარა, შემდეგ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში გადავიდა იურიდიული ბიუროს კონსულტანტად, აქედან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს იურიდიული განყოფილების კონსულტანტ-კოდიფიკატორად, პრეზიდიუმის თავმჯდომარის რეფერენტად, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორად, იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, შემდგომ — თავმჯდომარის მოადგილედ.

ეს არის თამარ ხოშტარია-ცაგურიას მოქალაქეობრივი ცხოვრების მთავარი სადგურები. იგი იმ ბედნიერთაგანია, ვინც ბავშვობაში გულს ჩაჭრილი ოცნება აიხდინა, იმედი გაუმართლა დედასაც, მამასაც, დიდედა ელისაბედსაც და თავის საყვარელ მასწავლებელს ნიკო ლომოურსაც — პატიოსნად ემსახურა ხალხს და სამართალს.

მართლაც: თუმცა დაწერილი კანონებით ხელმძღვანელობდა და სჯიდა, მაგრამ არასოდეს ყოფილა კანონის გულგრილი შემსრულებელი. მასთან მოდიოდნენ ადამიანები ათასნაირი წვრილმანი ცხოვრებისეული წუხილით. რანაირი საჩივარი არ მოხვედრილა თამართან ამ ორმოცამდე წელიწადში. ხან დაუძლურებულ დედაკაცს გამოჰქომაგებია, თავნება შვილებისაგან დაბრიყვებულს, ხან მშობლების მიერ უყურადღებოდ მიტოვებულ ბავშვებს. იგი თავგამოდებით იცავდა ნორჩი მოქალაქეების უფლებებს. ამ დროს განსაკუთრებით მკაცრად სჯიდა უგულო ადამიანებს. ძმათა დავაშიც ჩარეულა, ოჯახთა გაყრაშიც; უნახავს დაკნინებული სულის ადამიანები, ადამიანები კი არა; კაცუნები, ზიზღით ავსებია გული. საუცხოო ადამიანებსაც გასცნობია და სამუდამოდ დამახსოვრებია მათი კეთილშობილი სიამაყე, თავმდაბლური გულისხმიერება, თავშეკავებული სიმკაცრე; ვინ იცის, რამდენ საუცხოო ადამიანურ ხასიათს წასწყდომია და დიდხანს უფიქრია ამაზე, მარტო ახალგაზრდობაში კი არა... გულმხურვალება და ინტერესი მთელ მის ცხოვრებას ბოლომდე შემორჩა. თვითკმაყოფილების ყინული ვერ ეკარებოდა, ამიტომაც ადამიანებისაგან მუდამ სიამოვნებით იძენდა ახალს. მან ისწავლა სიბრძნე ადამიანის სულის გაფრთხილებისა, და უფრთხილდებოდა ყველას — იმასაც, ვინც დამნაშავედ ეჩვენებოდა, და იმასაც, ვინც მართალი იყო; რადგან სჯეროდა, რიგიანი მოპყრობით არაკაცის გულშიც კი ცოტაოდენ სიკეთეს ჩააშუქებდა. თამარი ცდილობდა, ყოველი პროცესი ისე წარემართა, რომ შეცდომილთათვის ჩაეგონებინა მათი შეცდომა და მხოლოდ შემდეგ გამოეტანა განაჩენი. ამ დროს იგი თავის მასწავლებელს ნიკო ლომოურს ჰბაძავდა უნებლიეთ, რომელიც მოწაფეს მანამ არ გაისტუმრებდა დაფიდან, ვიდრე შეცდომაში არ გაარკვევდა, რომ ნიშნის დაწერაშიც კი ბავშვს სამართლიანობა დაენახა.

სამართლიანობა! როგორ ცდილობდნენ ყველანი, ბავშვობიდანვე ჩაენერგათ მასში ეს გრძნობა. შეიძლება იმიტომაც, რომ ირგვლივ დიდ უსამართლობას ჰხედავდნენ და მასთან საბრძოლველად ამზადებდნენ. მისი ოცნებაც ხომ ეს იყო, — დიდი სიმართლის დასაცავად ეცხოვრა. მართალია, მას არ ხვდომია წილად ხელი აღემართა რუსეთის მეფის ტახტის წინააღმდეგ, რომელიც უსამართლოდ ჩაგრავდა მის სამშობლოს, მაგრამ რევოლუციების შემდეგაც თამარს თავისი მაღალი მისწრაფებებისათვის საკმაოდ ვრცელი ასპარეზი დარჩა.

მისმა საქმიანობამ თანდათან ფართო საზოგადოება მოიცვა. კეთილმა ნერგმა იხარა. თამარის ოცნებები უკლებლივ კი არა, გადაჭარბებითაც აღსრულდა. სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადა, პირნათლად წარსდგა თავის ხალხთან და სინდისთან. სამშობლომაც იგი არა ერთხელ დააჯილდოვა: მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება, ებოძა შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები...

თუ თქვენ შეხვდებით ამ მაღალ, კეთილი აღნაგობის ქალს, თმადათოვლილს, მშვიდსა და სათნოს, და ჰკითხავთ: რას ინატრებდით, ახლა რომ თოთხმეტი წლისა იყო-თქო, იგი გიპასუხებთ იმასვე, რასაც ადრე, გიმნაზიელობაში გიპასუხებდათ: სიმართლისათვის ცხოვრებას, სამშობლოსათვის თავდადებას, ჩემი ხალხის სამსახურსო.

თამარ ცაგურია ამჟამად მეცნიერულ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიისა და სამართლის ინსტიტუტში. ამავე დროს არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შტატგარეშე კონსულტანტი და მონაწილეობს საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციაში.

მიუხედავად თავის სამოცდამერვე წლისა, ყოველდღიურად ჰავლ-ჩამოივლის ერისთავ-ხოშტარიას ქუჩაზე, რომელიც ასევე ახლოს არის ბარნოვის ქუჩასთან (ვასილ ბარნოვიც ერისთავ-ხოშტარიების ოჯახის მეზობელი იყო, ახლა მათი სახელობის ქუჩებია მეზობლები).

თამარი მშობლებისეულ სახლში ცხოვრობს. ამ ქუჩიდან ძალიან შორს არის გორი, იქ მათი ადრეული სახლი, მისი განიერი აივანი, ვარდებიანი ეზო, სამი მაღალი ნაძვი, ხოლო უკანა მხარეს — სათონე და ალუბლის ხეებია...

ეთერ სახვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გაზაფხულის მოსვლა

ისევ მწვანე ფერი
აილუფხა მძაფრად, —
ყველაფერი მღერის.
გაზაფხულის აფრა
ატკაცუნდა ასე,
მთაზე,
ტყეში,
ველად.
და სიცოცხლით სავსე,
არა
როგორც ძველად,
არა
როგორც მაშინ,
წელს სხვაგვარი გზნებით
ივლის უცხო გზებით,
მხარ-ბეჭს მალე გაშლის.
თვითეული კვირტი,
თვითეული ბგერა,
აბა, დააკვირდი,
აბა, მოისმინე,
რარიგ
სხვაფრად ელავს,
რარიგ
სხვაფრად ღელავს.
საოცარი არის
სიჯიუტე შექმნის,
ფერთა მძლე მხატვარი
და სიცინცხლე ფესვის
მოთნეობით ითვლის
ასაკს
ქართულ მიწის,
და წინაპრის მითი
კვლავ ცოცხლდება მზისწილ.

გაზაფხულის ხმები
ზარს ხევებში რეკავს,
შედრკნენ თეთრი მთები
და დაიწყეს დრეკა.
სხვაფერია მაინც
სამოსელი ნათლის —
მარტს,
აპრილს
თუ მაისს
დიდებული ქართლის.
რა ჟრჟოლაა მაინც,
რა ფერებში იწვის:
მარტს,
აპრილს
თუ მაისს
მადლი ჩვენი მიწის.



## ყანჩა

მეწამულ ჭაობზე,
ცალფეხზე მყვინთავი,
ფხოჭნიდა ზამთარს საბრალოო ყანჩა, —
ესიზმრებოდა მზრინავი ცის თაღი
და გაზაფხულის ღაღანა ფარჩა.
თოვლი ეყარა — თეთრი ალაო,
ქარი ლესავდა ყინულის ისრებს, —
ყანჩამ ორივ ფრთა,
როგორც მარაო,
მიაფართქუნა დაჭირხლულ ისლებს
და... ზამთარს უცბად გაერღვა ლანჩა,
გაიშრიალეს მარტის ჭანგებმა, —
რა მოთმინებით ელოდა ყანჩა
ამ მწვანე დღეთა აციაგებას?!

## ჩემი პატარა მდინარე

პატარა რუხი —
ჩუმი მდინარე,
ჩემი ბავშვობის ფიქრის გამხელა,
და თითო ვარსკვლავს, მასში მძინარეს,
დღესაც ოცნება ჰქვია სახელად.
მე მის ჩქერებში გარდაცვლილ დედის
გამოცხადებას უხმოდ ველოდი, —
ასე,
გავანდე წარსული ბედიც
ჩემი ტანჯული საქართველოსი.
მე მის ტალღებში დაკარგულ მამას
ომში რამდენჯერ მივაყურადე, —
რუხი
დარანში სათუთად მალავს,
ჩემთა გარდასულ დღეთა სურათებს.
რამდენი წელი გასულა თრთოლვით!..
ისევ მოვედი,
მოგინახულე,
სიწმინდე შერჩათ სპეტაკი თოვლის
იმ დარდს,
ოცნებებს,
იმ გაზაფხულებს.
ჩემო გადიავ,
ბევრი ვიარე,
მაგრამ შენ მყავხარ სულის მისწრება,
რადგან ამ ქვეყნად ყველა მდინარე
შენი კამკამა ზვირთით იწყება.





მაქს ციმერინგი

მხატვარი
დ. ზარაფიშვილი

# ლენინი დრეზდენში

ვინც ჩემს მეგობარს, ფრანც ჰოლცაპფელს, ტანადსა და წარმოსადეგს, ქუჩაში თვალს მოჰკრავს, — თუმცა მას თავზე ძველებური შავი შლაპა ახურავს, — არა და არ დაიჯერებს, თუ იგი უკვე ოთხმოცდასამი წლისაა. ფრანცმა დიდი გზა განვლო ამ დარბაისლურ ასაკამდე. ღარიბი ოჯახის შვილმა მუშათა რევოლუციური მოძრაობისათვის ბევრი რამ გააკეთა და, ბოლოს, „დრეზდენერ ფოლკსცაიტუნგის“ რედაქტორი გახდა.

ეს მცირე ბიოგრაფიული მონაცემებია ჩემი მეგობრის ცხოვრებიდან, მაგრამ ამჯერად მე სხვა რამ მინდა გიამბოთ — ლენინზე უნდა გესაუბროთ. ეს ამბავი ფრანც ჰოლცაპფელთან არის დაკავშირებული.

ამას წინათ მომხიბლავი პრაღიდან ვბრუნდებოდი, ბრიულის ტერასზე შევხვდი ჩემს ძველ მეგობარს. მერხზე ჩამოვსხედით და ჩემი ბოლო მოგზაურობის შთაბეჭდილებები გავუზიარე. ერთი იმისი თვალებისათვის უნდა შეგეხედათ, როდესაც ვუთხარი, პრაღის ძველ სახალხო სახლში ლენინის ახალი მუზეუმია მოწყობილი და იმ ოთახში ვიყავი, სადაც 1912 წელს პრაღის ისტორიული კონფერენცია ჩატარდა-მეთქი. ამ კონფერენციიდან რუსეთის მუშათა კლასის ბელადი დრეზდენში გაემგზავრა.

— იმ წელიწადს არ გაიცანით თქვენ ლენინი? — ვკითხე ფრანც ჰოლცაპფელს.

— არა, გეთაყვა, — მომიგო მან მტკიცედ. — მე ლენინს ჯერ კიდევ 1909 წლიდან ვიცნობდი.

ეს მე არ ვიცოდი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემს მეგობარს იმ დღის მოგონება გულში ცოცხლად ჰქონდა აღბეჭდილი. ფრანცმა თვალები მშვიდად მოლივლივე ელბას მიაპყრო და მის მეხსიერებაში ნელ-ნელა ამოტივტივდა წარსულის სურათები.

— იცი, — მითხრა მან, — ისე ნათლად მახსოვს, თითქოს გუშინ ყოფილიყოს. ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად ჩვენს რედაქციაში რუსი ამხანაგი მოვიდა — ეს ლენინი გახლდათ! რა დიდებული მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში, რა დიდი სიხარული განვიცადეთ! „ლენინი ჩვენთან არის, ლენინი აქ არის!“ — აღტაცებული ყიჟინით შემოიჭრა ჩემთან ერთი კოლეგა და გამიყვანა. დიახ, ლენინი გვეწვია...

ფრანც ჰოლცაპფელი ცოტახანს გაჩუმდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს იგონებსო.

— საპატიო სტუმართან ძალზე შინაარსიანი საუბარი გვქონდა... ყველაფერი არ მაგონდება... მახსოვს, ლენინმა ქალაქის დათვალიერება მოისურვა. მე და რედაქციის ერთი თანამშრომელი სამუშაოდან გავთავისუფლდით და გავყევით მას დრეზდენის ლამაზ ქუჩებში. მე მგონი, იმ დღეს ჩვენი ქალაქი მეც პირველად დავათვალიერე საფუძვლიანად. ქალთა ეკლესია, ცვინგერის სასახლე, ოპერა, სამეფო კარის ეკლესია, სურათების გალერეა — ლენინს ყველაფრის ნახვა და გაგება უნდოდა.

უნდა გამოვტყდე, ყოველთვის ამომწურავი პასუხის გაცემას ვერ ვახერხებდი, ვერ წარმოიდგენ ლენინმა რა კარგად იცოდა ისტორია... რა დიდებულად ერკვეოდა გერმანიის ისტორიაში და, ასე განსაჯე საქსონიის ისტორიაშიც კი!

მოხუცმა წამით იყუჩა, მაგრამ ეტყობოდა მისი ფიქრები კვლავ წარსულის მოგონებას დასტრიალებდა.

— ქალაქში გასეირნების შემდეგ ბრაუნშვაიგერის სასტუმროში მივიყვანეთ.

— ფრაიბერგერის მოედანზე?

— დიახ, ფრაიბერგერის მოედანზე, — მიპასუხა ფრანც ჰოლცაპფელმა. — იმ დროისათვის მაგ ადგილას სასტუმრო იყო, რომელმაც დრეზდენის პარტიულ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა. იქ მუშათა კლასის საქმის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს გაუთენებია ღამე მოგზაურობაში ყოფნისას. იქ შევხვედრივარ ვილჰელმ ლიბკნეხტს, ავგუსტ ბებელს და ბევრ სხვა თვალსაჩინო ადამიანს... ჰოდა, სწორედ იქ შევუკვეთეთ ოთახი ჩვენი სტუმრისათვის, მაგრამ ძილისათვის ვინ მოიცალა! მთელი ღამე დისკუსიაში გავატარეთ... ისე დაგვათენდა, ვერცკი გავიგეთ. ახლაც ყოველივე ცოცხლად მიდგას თვალწინ. ლენინი ყურადღების ცენტრში მოექცა. ბუმბერაზად წარმოგვიდგა, თუმცა ტანად მომცრო, სადა და უბრალო ადამიანი იყო. მხოლოდ მისი მაღალი შუბლი მოგხვდებოდა თვალში. ლაპარაკის დროს თავს ზოგჯერ გვერდზე ხრიდა და არ იცოდა კაცმა, იგი ამ დროს ფიქრობდა თუ ადამიანებს ათვალიერებდა. ო, რა თვალები ჰქონდა! ჭკვიანი, კეთილი და მოძრავი. დიახ, მთელი მისი ბუნება და ხასიათი თვალებში გამოსჭვიოდა. ჯერ წყნარად იყო. იშვიათად იტყოდა რამეს, მაგრამ, როდესაც ლაპარაკს დაიწყებდა... არა, არა, ამის გადმოცემა ძნელია. რა მშვიდად, რა დამაჯერებლად მსჯელობდა და ასაბუთებდა.

ჩემი მეგობარი ფრანც ჰოლცაპფელი კვლავ გაჩუმდა. მერე უცებ წამოდგა ისე, რომ ჯოხი არც მოუშველებია, ტერასის მოაჯირისაკენ გაემართა და მანიშნა გავყოლოდი.

— აქ, აი ამ ადგილას ვიდექი მასთან ერთად. — თქვა მან. — ლენინს სამგზავრო ქუდი უკან ჰქონდა გადაწეული, პალტოს ღილები — გახსნილი. სტუმარმა ავგუსტის ხიდზე, ოპერაზე, სამეფო კარის ეკლესიასა და თითქმის ყველა ძვირფას არქიტექტურულ ძეგლზე მიმითითა და მათ შესახებ საუბარი დამიწყო. ჩვენ არ მოველოდით, რომ რუსი რევოლუციონერი ფეოდალური წარსულის ნაგებობებისადმი ასე დიდ ყურადღებას გამოიჩენდა... ეს ყოველივე მუშის ხელმა ააგო და ისინი ოდესმე მუშათა საკუთრება გახდებაო, ფიქრობდა ალბათ... ო, ის დიდი ადამიანი იყო! დიახ, ამ ადგილას ვიდექით ჩვენ. მისი თვალები არასოდეს დამავიწყდება. ქალაქისაკენ ხელგაწვდილი იდგა. ხან გვეკითხებოდა, ხან თავად გვიამბობდა საყურადღებო ამბებს. თუ იცი, არის ლენინის ერთი ასეთი სურათი: გაწვდილი ხელით მასებს ელაპარაკება. მე ის მეხსიერებაში შემომრჩა.

ფრანც ჰოლცაპფელმა თვალები დახუჭა, ალბათ ლენინის სურათის ნათელი წარმოდგენა სურდა. მე კი ტერასიდან ავგუსტის ხიდს გავხედე, რომელსაც ახლა დიმიტროვის ხიდი ჰქვია. თვალი მოვავლე ყველა არქიტექტურულ ძეგლს, რომელთა ნანგრევები მიიღო ხალხმა მემკვიდრეობად და ახლა კვლავ, სიყვარულით აშენებს თავისთვის!

და ჩვენს გვერდით ყველგან და ყოველთვის დგას ხელგაწვდილი ლენინი.

გერმანულიდან თარგმნა ზ. ამირანაშვილმა.

ანზორ აბულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზაფხულდება

მზე გამოსცდა ფაფუკ ზამთარს,
მოდის მარტის კაბის კერვით.
ხეში წყალი უკვე ჩადგა,
ჩიტმაც გადგა საძირკველი.
გულგადაშლილ მინდორ-ველზე,
პირველ გუთანს გაუვლია.
ეს ტყე-ჭალა, მთებიც ესე —
სისხლით გადანამულია.
თბილი ხნულიც — ოხშივარში
გახვეული მამულია;
ოღონდ — იგი უფრო ტკბილი,
უფრო მეტად ქართულია,
როგორც ვაზის ფოთლის ჩრდილი,
სულთან გადახლართულია.
მზე გამოსცდა ზამთარს მსუსხავს,
ჩვენთან ყოფნა სურვებოდა,
შორი გზიდან წამოსული
ქართლში მოეშურებოდა.
რა. მღიმარი შემობრძანდა,
მარტის ჭრელი კაბის კერვით!
ხეშიც წყალი უკვე ჩადგა,
ჩიტმაც გადგა საძირკველი.
და ნაზამთრალ გაშლილ ბარსა
უკვე ესმის: — კაფე-თესე!
ჩიტი გიხმობს მეგობარსა:
— გარეთ გამო, ბიჭო, სესე.
გადახედე დილის სურათს,
მზემ რა შუქი დაგვაფრქვია...
ყველამ უნდა ნახოს სრულად
საქართველო რასაც ჰქვია.





# უკვდავება

**კარლო ჭაბაჭაძე**

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

## ჩემი ორთქლმავალი

ჩვენი ქარხანა ძალიან გრძელია, თავსა და ბოლოში დიდი ჭიშკრები აქვს დატანებული. შუაში, მთელ სიგრძეზე, რკინიგზა გასდევს. ერთ ჭიშკარში ძველ, დამტვრეულ და თითქმის უვარგის ორთქლმავალს რომ შემოაგორებენ, ბოლოში, მეორე ჭიშკარში, ეს ორთქლმავალი, განახლებული და გალამაზებული, ქშენითა და ქოთქოთით გადის. ჩვენი ქარხანა ძალიან ძველია, საქართველოში რკინიგზა რომ გაუყვანიათ, მაშინ დაუარსებიათ.

მე შემდუღებელთა ბრიგადაში ვარ. შემდუღებლებს კი უპირველესი საქმე გვავალია. ორთქლმავლის მომავალი ბედი ჩვენზე, ჩვენს მუშაობასა და ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული. ისეთი ბიჭები ვართ ბრიგადაში, რომ დაგვავალონ, რკინას გავტკვერთ; ორთქლმავლის დაშლა და აწყობა ჩვენთვის ჩვეულებრივი საქმეა.

ჩვენს ქარხანაში რომ შემოხვიდეთ, შიშისაგან ალბათ გული გაგისკდებათ, არაფერი დაგვეჯახოსო. სხვა რომ არა იყოს რა, ყურებზე მაინც დაიფარებთ ხელს, ისეთი ჯოჯოხეთური ხმაურია. ყველაზე უფრო მექანიკური ურო ხმაურობს.

აქ პირველად რომ შემოვედი, დაფეთებული აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, მაგრამ მალე შევეჩვიე. ახლა მრავალტონიანი უროსა და ჩარხის ხმაური მუსიკასავით ჩამესმის ხოლმე.

ერთხელ, შესვენებაზე, სასადილოში ვსაუზმობდი, თან გაზეთს ჩავკირკიტებდი — სპორტის ამბებს ვკითხულობდი. ამხანაგი მომიახლოვდა და მითხრა, ბიძაშენი გეძებსო. მაშინვე გამოვვარდი. ჩემი დარდი მქონდა, წარმოებიდან მოუწყვეტლად რკინიგზის ტექნიკუმს ვამთავრებდი და ბიძაჩემი მეცადინეობაში მეხმარებოდა, ნახაზებისა და გრაფიკების შედგენაში მშველოდა.

გარეთ, ჭადრის ძირში, ქარხნის ინჟინერი და ბიძაჩემი იდგნენ, საუბრობდნენ. შორიახლოს დავდექი.

მახსოვს, ბიძაჩემმა ქარხანაში პირველად რომ მომიყვანა, ამ ინჟინერს უთხრა:

— აი, ჩემი ძმისწული, ვანოს ბიჭი. ძალიან ცელქია, მაგრამ ორთქლმავლები უყვარს. შეაგდე ქარხანაში, იქნებ კაცი გამოვიდეს!

ინჟინერი მამაჩემის მეგობარი ყოფილა, ომამდე ერთად უმუშავნიათ სამტრედიის დეპოში. ფრონტზეც ერთად წასულან.

იგი ერთხანს ღიმილით მომჩერებოდა, მერე წამოდგა და ქარხანაში შემიყვანა. მაშინ იყო, თვალს გიჟივით რომ ვაცეცებდი, გული გამისკდა, აქ რა იმუშავებს-მეთქი. ერთ მოხუც ზეინკალს ჩამაბარა: ხელობა ასწავლეო. ზეინკალი მკერდამდე ძლივს მწვდებოდა, სათვალე შუბლზე ჰქონდა აწეული და რაღაცას ჩიჩქიჩქებდა. ამათვალ-ჩამათვალიერა, მერე სათვალე გაისწორა, რკინის ორი დეტალი მოძებნა, გამომიწოდა და მითხრა: ერთმანეთს მოარგეო.

დეტალები დიდხანს ვატრიალე ხელში, მერე ერთის წაგრძელებული ნაწილი მეორეს ძალით მოვარგე და ზეინკალს ვაჩვენე. უნდა გენახათ, რა გაოცებული იყურებოდა ზეინკალი, ხან მე მომჩერებოდა, ხანაც დეტალებს დაჰყურებდა. ვერაფრით განაცალკევა დეტალები ერთმანეთისაგან, მე კი ვიდექი და საამქროს ხარბი თვალით ვათვალიერებდი.

ერთი ზორბა ტანის მუშა მოგვიახლოვდა. ზეინკალმა იმას უჩვენა ჩემი პირველი „ნაწარმი“. მუშამ ღიმილით ჩამოართვა დეტალი და შეათვალიერა.

— კაცო, ამ ქარხანაში დავბერდი, — დაიწყო ზეინკალმა. — ამ დეტალებს თუ ასეთნაირად შეაერთებდა ვინმე, არ მეგონა!

მუშამ მხარზე დამარტყა ხელი და მკითხა:

— გინდა ჩემთან მუშაობა?

— კი, ძალიან მინდა. — ვუთხარი, თუმცა არ ვიცოდი ვინ იყო იგი და რას წარმოადგენდა, უბრალოდ, მომეწონა.

მუშამ ხელი მეგობრულად გადამხვია და წამიყვანა. მუშა შემდუღებელთა ბრიგადირი აღმოჩნდა. შემდუღებლებმა ძმასავით მიმიღეს.

... — ამ ორთქლმავლებს თუ იცნობ? — მკითხა ახლა ბიძაჩემმა.

ორთქლმავლებისაკენ გავიხედე, ქარხნის წინ ჩამწკრივებულები რომ იდგნენ.

„როგორ არ ვიცნობ-მეთქი“, — გავიფიქრე გუნებაში. საქმე ის გახლდათ, რომ ორიოდე თვის წინ სამივე გამოშიგნული იდგა ჩვენს ქარხანაში. ბიჭებმა თავი მოვიკალით მუშაობით, სასწრაფო დაკვეთაა და არ შევრცხვეთო. ახლა კოხტად შეღებილები დგანან და შორი გზის მოლოდინში გარინდულან.

— იცნობ თუ არა? — მკითხა ისევ ბიძაჩემმა.

ახლა კი ეჭვი შემეპარა, იქნებ ორთქლმავლებს ხელი დავაკელით და წუნდებული გამოვუშვით-მეთქი. ინჟინერს შევხედე, იგი იღიმებოდა.

— ეს ორთქლმავლები, ზესტაფონში რომ იდგნენ, ისინი არიან, გახსოვს, შეკეთებას რომ აპირებდი და ამხანაგებმა საცეცხლურში კინაღამ გოჭივით რომ შეგბრაწეს? — მითხრა სიცილით ბიძაჩემმა.

ახლა კი ყველაფერს მივხვდი. ჩემს თვალწინ ბავშვობამ გაირბინა, ხუთიოდე წლის წინანდელმა ამბებმა.

ორთქლმავლებს მივუახლოვდი, პირველსავეს ხელი ძმაკაცურად დავარტყი, მერე კიბეზე ფეხი ავდგი და მემანქანის კაბინაში შევედი.

„ჩემი ორთქლმავალი“! წარმოგიდგენიათ, ეს ის ორთქლმავალია!.. ახლა ოცნების ასრულება შემეძლო, ოცნებისა, რომელიც ბავშვობისას ვერ ავისრულე. ორთქლმავლის მუხრუჭები ავუშვი და ბერკეტი გადმოვწიე; ორთქლი დგუშს დაეძგერა — გადაადგილა, დგუშმა ბარბაცა და მრუდმხარა გაიყოლია და ბორბალი დაატრიალა; ორთქლმავალი დაიძრა, ჯერ ნელა, მერე სიჩქარეს უმატა ქშენითა და ქოთქოთით. საყვირს მივწვდი, ბარე სამჯერ დავაყვირე. ორასიოდე მეტრი რომ გავარბენინე, უკანვე დავახევინე; ორთქლმავლიდან ჩამოვხტი, ინჟინერსა და ბიძაჩემს მივუახლოვდი.

— მოგეწონა? — მკითხა ბიძაჩემმა.

— ძალიან! ჩემი „შვილობილია“ და ცუდი რატომ უნდა იყოს? — ვუთხარი ღიმილით.

— დღეს ტექნიკურ გამოცდას ჩააბარებენ, — თქვა ინჟინერმა, — მერე კი გავუყენებთ გზას.

— არ შეიძლება, დანიშნულების ადგილამდე მეც გავყვე? — ვკითხე.

— გავიგებ დღეს სამმართველოში! — მომიგო ინჟინერმა და მოკირწყლულ ბილიკს გაჰყვა, მას ბიძაჩემიც აედევნა. ერთხანს საუბრით მიდიოდნენ, იცინოდნენ და ხშირად უკან იხედებოდნენ.

მომეჩვენა, რომ ჩემზე საუბრობდნენ. ბიძაჩემი ალბათ უყვებოდა: ბავშვობაში ლოკომოტივებით იყო გატაცებული და ძველი ორთქლმავალი უნდოდა შეეკეთებინაო. მე კი ვიდექი, ჩემს ორთქლმავალს მივჩერებოდი და ათას წვრილმანს ვიხსენებდი.



კარლო ტაბატაძის მოთხრობამ „უკვდავება“ „პიონერის“ კონკურსში მესამე პრემია დაიმსახურა.

## ყვირილის პირას

ყორნისფერ ყვირილაში ვინც თავით არ გადაშვებულა და არ გადაუცურ-გადმოუცურავს, ის ტყუილად ნუ დაიტრაბახებს, ცურვა ვიციო. საქმე ის არის, კუპრივით წყალში იყურყუმელაო, თორემ ანკარა მდინარეში ყველა იჭყუმპალავებს!

შუადღისას, როცა ოქროსფერი მზე ჩვენს უბანს პირდაპირ დასცქეროდა და მწველი სხივებით ბაღ-ვენახების დახრუკვას ლამობდა, როცა პარმენას ღელვებზე შემომსხდარი ჭრიჭინობლების გალობა მოსაბეზრებელი ხდებოდა, ყვირილისაკენ დავეშვებოდით. გადავირბენდით ვიწროლიანდაგიან რკინიგზას, მერე — ფართოლიანდაგიანს, რკინა-ბეტონის ჯებირებიდან რიყეზე ჩავხტებოდით და ყვირილაში ვდურთავდით ხოლმე თავს. აქ, მდინარის პირას, ვიკაჟებოდით ტიტლიკანა ბიჭები. რას არ ვთამაშობდით: ლახტს, „მრგვალ ვირს“, „გრძელ ვირს“, „გამარჯობა, ვიროს!“ ვთამაშობდით ფეხბურთსაც და ფრენბურთსაც. მაგრამ ყველაზე ძალიან დაჭერობანა გვიყვარდა — დაჭერობანა ხმელეთზე და წყალში. ეს თამაში ძალიან დამქანცველი იყო; გავრბოდით რიყეზე, ვყვინთავდით წყალში. დამარცხებული ყოველთვის ის რჩებოდა, ვინც კარგად ვერ გარბოდა ან ვერ ცურავდა და ყვინთავდა.

აქვე, მდინარის პირას, ატყდებოდა ხოლმე ჩხუბი და კინკლაობა. ორი ძარღვებდაბერილი და ხელებმომუშტული მამლაყინწა ერთმანეთის პირისპირ დგებოდა, ჯერ თვალით ზომავდნენ ერთმანეთს, მერე ერთი შეუტევდა, მეორეც რა ბიჭი იყო, რომ დაეთმო! და იწყებდნენ გაუთავებელ დავას, უმთავრესად — პირველობისათვის: არა მე ვარ უკეთესი, არა მეო. დიდ ბიჭებს საქმე უჩნდებოდათ, დავაში ერეოდნენ და მოქიშპეებს აქეზებდნენ. მამლაყინწებსაც მეტი არ უნდოდათ, ერთმანეთს დაუზოგავად ებღლვნებოდნენ. ჩვენ კი, მაყურებლები, შორიახლოს ვიდექით და შეძახილებით ვამხნევებდით.

ჩხუბის შემდეგ ყველანი კვლავ მეგობრულად ვიყავით



ერთმანეთთან; ერთხანს დავის შედეგებს ვარჩევდით, მერე თავით ყვირილაში ვხტებოდით და ტალღებს მკლავურით ვებრძოდით. საღამო ხანს დაღლილ-დაქანცულები და ძაღლივით დამშეულები შინ ვბრუნდებოდით.

ტიტლიკანები ამოვივლიდით კიბორჩხალებით სავსე ღელეს, მივადგებოდით ცივ, ანკარა წყაროს და შავი ქვის მტვერს ვიშორებდით.

შინ თუ ბროწეულის წკეპლას გადავურჩებოდი, ხომ კარგი, თუ არადა, მიტყეპილი, დედის ხათრით ცოტას წავიტირებდი, მერე გემრიელად ვისადილებდი და კვლავ ორღობისაკენ მეჭირა თვალი. ღამით ფუტკარაძეების გორაზე თამაშობები და ტაშ-ფანდური იმართებოდა.

ჩვენ — მე, კახა და რეზო განუყრელი მეგობრები ვიყავით. კახა წვრილი და ქერა ბიჭი იყო, ცხვირი მწყრის კვერცხივით ჰქონდა დაჭორფლილი. რეზო შედარებით დაბალი გახლდათ და მოზრდილი თავი ჰქონდა. ბიჭები „თაურას“ ეძახდნენ, ჩხუბისას თავის დარტყმა უყვარდა და იმიტომ.

როცა საქმე ჩხუბზე მიდგებოდა, რეზოსთან მოკინკლავე იტყოდა ხოლმე: ვეჩხუბები, თუ თავს არ იხმარსო. ამაზე დიდი ბიჭები სიცილით იხოცებოდნენ და მოჩხუბარს არწმუნებდნენ, არა, თავს არ იხმარსო. მაგრამ რეზო ისე კოხტად გამოურევდა თაურს, რომ საყურებლად ღირდა.

ჩემთან ჩხუბს ვერავინ ბედავდა: მარცხიანი ხელი აქვსო, ამბობდნენ და ყველა გამირბოდა, წარმოიდგინეთ, დიდი ბიჭებიც კი.

ერთხელ ვიჭიდავე, ჩემი მეტოქე კისრულით გადმოვიღე და რიყეზე გავშოტე. ერთხანს ფეხზე ველარ დგებოდა, პირს შოშიასავით აღებდა და ხმა კი არ ამოსდიოდა. ბიჭებმა წყალი მოარბენინეს და სახეზე დაასხეს. როგორც იქნა ხმა ამოიღო. რა დაგემართაო, ჰკითხეს შეშინებულებმა. „სული შემეკრა, მაგასთან ჭიდაობა არ შეიძლება, მარცხიანი ხელი აქვსო“. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ჩემთან აღარავის უჭიდავია. ჩხუბი კი... ერთხელ ვიჩხუბე გელასთან, მუშტი თვალში მოხვდა, ყვირილითა და ღრიალით იქაურობა აიკლო, ყვირილას ხომ არ ეჯიბრებიმეთქი, ვუთხარი გაბრაზებულმა. თქვენც არ მომიკვდეთ, ხმისთვის არ დაუწევია, ასე ღრიალ-ღრიალით შეუყვა აღმართს, შინ მოუსვა. ეს იყო ჩემი უკანასკნელი ჩხუბი.

ყვირილისპირელებიდან ყველაზე მოსვენებული მე გახლდით; არავინ მეჩხუბებოდა, არავის ვეჩხუბებოდი, არც დიდი ბიჭები მაქეზებდნენ, არც თამაშში ჩამირევდნენ მაინც და მაინც, — უცბად რაიმე მარცხს არ გადაგვკიდოსო. ჩემთვის ვიყავი, ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, ვუყურებდი შორიდან მათს კინკლაობა-დავიდარაბას და გულიანად ვიცინოდი. თუმცა ხშირად მომწყინდებოდა ერთ ადგილას ჯდომა და თამაში მომინდებოდა ხოლმე, მაშინ ფეხზე წამოვდგებოდი და ტოლ-მეგობრებში გავერეოდი, ისინი კი დამფრთხალნი, — არიქა არაფერი გვატკინოსო, ჩაკუპრული ყვირილის ზვირთებში უჩინარდებოდნენ.

იმ დღეს მე, კახა და რეზო, მენახშირეებივით გამურულები, მდინარის ნაპირს მივყვებოდით.

— იცით, ბიჭებო, მალე ყვირილა შავი აღარ იქნება! — ვთქვი და ყვირილაში ქვა ვისროლე.

— რა გაათეთრებს ამას?! — გაუკვირდა რეზოს და ძანაც ქვა გასტყორცნა, მდინარის ზედაპირზე გააცურა.

— შენ გგონია, ოდითგან ასე შავი იყო ყვირილა?

— მაშ? — იკითხა კახამ.

— ერთ დროს ყვირილაც ანკარა ყოფილა, მაგრამ ჭიათურაში მარგანეცის მოპოვება რომ დაუწყიათ, მას შემდეგ გაშავებულა.

— როგორ? — დაინტერესდა რეზო და მომაჩერდა, ხომ არაფერს გვატყუებსო.

— შავ ქვას მდინარეში რეცხავენ და მადანს ამდიდრებენ.

— ამდიდრებენ?! — გაუკვირდა კახას.

— ჰო, ამდიდრებენ, ფუჭი ქანის მოშორებას მადნის გამდიდრება ჰქვია. — დავხარჯე მთელი ცოდნა, რომელიც წინადღით პაპაჩემმა მომცა. — გარეცხვისას ბევრი მტვერი მიჰყვება წყალს და ის აშავებს ყვირილას.

— კი მაგრამ, როგორღა გაათეთრებენ? — იკითხა დაეჭვებულმა კახამ.

— ჭიათურაში საფილტრავ ფაბრიკას აშენებენ...

— რა ეშველებათ თევზებს? — დაინტერესდა კახა.

— თევზებისათვის უკეთესიცაა, ანკარა წყალში ინავარდებენ. — უთხრა რეზომ.

— მიჩვეულები რომ არიან შავ წყალს?

— ბიჭებო! — შევძახე მე. — მოდი, ამბროსის ფაცერი და ქანდარები მოვინახულოთ.

ბიჭები სიამოვნებით დამეთანხმნენ.

ზევით, ყორე-ქვის ჯებირთან, ჩანჩქერში ამბროსის ფაცერი ჰქონდა დაგებული, ცოტა მოშორებით, თხელ წყალში, ანკესების ქანდარა იყო გაჭიმული. მიბრახუნდებოდა საღამო ჟამს ამბროსი, ანკესებზე ჭიაყელებს წამოაცმევდა, დილით კი თვითეულ ანკესზე მტკავლიან ქაშაპს ან კოლხურ წვერას ხსნიდა.

— ასს, ასს, ასს! — შესძახებდა თვითეული თევზის ჩამოხსნისას და წელზე მიმაგრებულ წნელის კალათაში ჩაუძახებდა ხოლმე.

ერთხელ ჩვენს უბანში სასწაული მოხდა, მალე ეს ამბავი მთელ ზესტაფონს მოედო, — ამბროსიმ ყვირილაში ღლავი დაიჭირაო. ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. ღლავი ზურგზე მოეგდო და შუა ორღობეში მიაბიჯებდა. უბნის ბავშვები ყიჟინით მივსდევდით. ღლავი კუდს გაშმაგებით იქნევდა და ამბროსის ხის ფეხზე უტყლაშუნებდა.

იმ დღის შემდეგ ბიჭები ჩუმჩუმად ვამოწმებდით ამბროსის ფაცერსა და ანკესების ქანდარას, მაგრამ დღეები გარბოდა, დღეებს თვეები მისდევდა, ღლავი კი თვალით არ გვინახავს, მისი გემო თვით ამბროსისაც კი დაავიწყდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილ ძოგონებასავით თუ გაიხსენებდა, როცა გოგიას წერტში მეგობრებთან ერთად არაყს სვამდა. არაყი უყვარდა ამბროსის, დაითვრებოდა და მერე მიაბრახუნებდა ხის ფეხს და იხსენებდა ფრონტელ მეგობრებს.

ჯებირს მივუახლოვდით. კახა ფაცერს დაუფათურდა, რამდენიმე ლიფსიტა და ერთი წვერა გაბმულიყო, კახამ ისინი მდინარეში გაუშვა და მიაძახა: წადით, გაიხარეთო!

მე ანკესების ქანდარა მოვძებნე, თოკს გავყევი და თვითეულ ანკესს ვამოწმებდი. უცბად ამბროსის ყვირილი შემომესმა, ნაპირისაკენ გავიხედე, — კახა და რეზო რკინიგზის ხიდისკენ გარბოდნენ. გულგახეთქილი ნაპირზე გამოვვარდი, ტანსაცმელს ხელი დავსტაცე და მოვკურცხლე. ამბროსი ერთხანს გვლანძღავდა, მერე ფაცერს დახედა.

მეგობრებს კიბორჩხალების ღელეში წამოვეწიე. რეზო სიცილით იგუდებოდა, კახა ქვაზე იჯდა და სიცილისაგან დაოსებულს ხელები მუცელზე მოეჭირა. რომ მივუახლოვდი, ღიმილით თქვა:

— არ დაგვიფრინა ამბროსიმ!

— რატომ არ დამიძახეთ და გამაფრთხილეთ? — ვიკითხე გაბრაზებულმა.

— ისე დავიბენით, ველარ მოვახერხეთ, — მომიგო რეზომ, სიცილით გული რომ იჯერა.

— ნუთუ არ შეეძლო ჩუმად მოგვპარვოდა და შორიდან ღრიალი არ დაეწყო? — თქვა კახამ.

— ალბათ მთვრალი იყო, — დაასკვნა რეზომ.

— პერანგი! — ვიყვირე, ჩემი ტანსაცმელი რომ გავშალე ჩასაცმელად. — ჩემი წითელი პერანგი!..

— ეტყობა, იქ დაგრჩა, — შემოირტყა თავში ხელი კახამ. — ჯებირთან ეგდო.

უკანვე გავიქეცით, რკინიგზის ხიდის ქვეშ გავძვერით, რომელზედაც სატვირთო მატარებელი გრუხუნით გადადიოდა. რიყეზე გავედით. ამბროსი ფაცერთან ტრიალებდა. ფარულად, ჩოქვით მივუახლოვდით და ჯებირს ამოვეფარეთ. კახამ გაიჭვრიტა, დიდხანს აკვირდებოდა იმ ადგილს, სადაც პერანგი ეგულებოდა, მაგრამ იქ აღარაფერი ეგდო.





— იპოვნა ალბათ!

ახლა რეზომ გაიხედა და შეწუხებულმა შეიცხადა:

— ამბროსის შენი პერანგი ქამარში აქვს გაჩრილი!

მე და კახამაც გავყავით თავი საფრიდან, პერანგი მართლაც ქამარში ჰქონდა გაჩრილი ამბროსის.

— რა ვქნათ? — ვიკითხე დაღონებულმა, — პერანგი აუცილებლად ხელში უნდა ჩავიგდოთ, თორემ დედაჩემს მიუტანს და...

— უნდა წავართვათ, — დაასკვნა რეზომ. — სხვა გზა არ არის. მე და კახა მივალთ და გამოველაპარაკებით, ის გამოგვეკიდება, შენ უკნიდან მიეპარე და...

გეგმა ჭკუაში დამიჯდა, სხვა გზა არც იყო. ამბროსიმ საქმე მოამთავრა და ნაპირისაკენ გამოემართა. გადმოადგამს გაშეშებულ ფეხს, მყარად დააყრდნობს მდინარის ფსკერს, მერე საღ ფეხს გადმოდგამს და ასე ნელა და დაკვირვებით მოიწევს ჩვენსკენ. გადმოდგა უკანასკნელად ხის ფეხი და მშრალზე გამოვიდა. რეზო და კახა საფრიდან გაძვრნენ, ამბროსის ყურადღება არ მიუქცევია ბიჭებისათვის, ჯიბიდან მტკავლიანი ქაშაპები ამოყარა და კაპალა ჯოხზე მათს წამოცმას შეუდგა.

— ამბროსი ბიძია, რამდენი ღორჯო დაგიჭერია! — გასძახა შორიდან რეზომ.

— სად ხედავ ღორჯოებს! — განგებ შეუცაცხანა მეგობარს კახამ. — ღორჯოები კი არა ლოქოებია, ვერა ხედავ, თითო — ფუთს აიწონის.

ამბროსიმ ქვეშ-ქვეშ გამოხედა კახას: ლოქოებს მოგცემ მე შენ, თუ ხელში ჩამივარდიო.

— ამბროსი ბიძია, მოგვეცი პერანგი! — პირდაპირ მიახალა კახამ.

ამბროსი ახლა კი მიხვდა, რისთვის იყვნენ ეს ბიჭები მოსული და კვარივით აენთო:

— დაიკარგეთ აქედან, თქვე უპატრონოებო, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! — დაუტატანა ბიჭებს და პერანგი ხელით მოისინჯა, ხომ ისევ წელზე მაქვსო. — მივალ მე ამის პატრონთან და ვნახოთ რა ბიჭებიცა ხართ! — ამბროსიმ თევზების ასხმულა ხელში დაიჭირა და ქაქანით რკინიგზისაკენ გაემართა.



რეზო და კახა კუდში აედევნენ, რაღაც-რაღაცებს ეუბნებოდნენ. მეტის ცდა აღარ შეიძლებოდა, საფრიდან გამოვვარდი და ამბროსისთან გავჩნდი, პერანგს მივწვდი და ამოვქაჩე. პერანგი რაღაცას გამოედო და გაიფხრიწა. ამასობაში ამბროსიც მოტრიალდა, შეშინებულმა თევზები მომიქნია. ვეღარ მოვზომე, ხელი უხეიროდ ავკარი და ყველაფერი თვალისდახამხამებაში მოხდა: ამბროსი მიწაზე გაიშხლართა, ხის გაშეშებული ფეხი ჰაერში უმწეოდ აიშვირა.

შეშინებულებმა უკანმოუხედავად მოვქუსლეთ.

— მომკლეს ამ უპატრონოებმა, მიშველეთ! ვაი, ვაი! — შემომესმა ხიდთან მისულს ამბროსის გოდება.

შევჩერდი. გამახსენდა ჩემი მარცხიანი ხელის ამბავი, უკან მივიხედე. ამბროსი რიყეზე ზურგით გორაობდა და ადგომას ვერ ახერხებდა. ვიფიქრე, არაფერი მოუვიდეს-მეთქი და მივუახლოვდი, თავზე წავადექი.

— არ მინდოდა, ამბროსი ბიძია! ასეთი მარცხიანი ხელი მაქვს. — წავილუღლუღე შეშინებულმა.

— მარცხიანი კი არა, უსინდისოები ხართ, დიდსა და პატარას ვეღარ სცნობთ, უსაქმურებო! — მომაყარა ამბროსიმ, მერე სული მოითქვა და დასძინა: — დედაშენი ვენახში თოხს უბაყუნებს, შენ კი... მამაშენი იყოს ცოცხალი...

გორაკისაკენ გავიხედე, სადაც ჩვენი ხის ოდა იყო წაძოსკუპებული. გამახსენდა, დედას რომ შევპირდი, ამ საღამოს მოგეხმარები-მეთქი. მივხვდი, გაჯორვა არ ამცდებოდა. ამბროსის ზურგი შევაქციე და შინისაკენ წასვლა დავაპირე.

— სად მიდიხარ, შე უსინდისო?! — მომაძახა ამბროსიმ. — ხელი მომაშველე, წამომაყენე!

— ეტყვი დედაჩემს? — ვკითხე ჩემდაუნებურად.

— კარგი, კარგი, არ ვეტყვი, მომეცი ხელი! — სახე დაეღრიჯა ამბროსის.

დავიხარე და ხელი გავუწოდე. ფეხზე ძლივს წამოდგა. მერე თევზები მოძებნა და გულდაწყვეტილმა ამოოხვრით მითხრა:

— ეჰ, ბიძია, რა კაცი იყო მამაშენი! მის საფლავს უნდა ეძებდე, მამით უნდა ამაყობდე, შენ კი... — მან ხელი ჩაიქნია და ჩვეული ნაბიჯით გზას გაუყვა.

„მამის საფლავსო!“ სად არის მამაჩემის საფლავი? ნუთუ მამაჩემი მკვდარია? ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. ჩვენს ოჯახში დედაჩემიც, პაპაჩემიც, ცხონებული ბებიაჩემიც ელოდებოდნენ მამაჩემს, აგერ ახლა გამოჩნდება და აგერ ახლაო. ვიცოდი, რომ მამაჩემმა 1942 წელს ფრონტზე წაიყვანა მატარებლის დიდი შემადგენლობა და წავიდა. მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი, მხოლოდ სამი თვის შემდეგ ვიხილე სამყარო...

მიმავალ ამბროსის გავხედე. იგი მიდიოდა და თან რაღაცას ბურდღუნებდა.

ცრემლი მომეძალა. ერთხანს გახევებული ვიდექი. როცა ამბროსი თვალს მიეფარა, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გადავიარე და ჩვენი ოდისკენ მიმავალ გზას გავუყევი, აღმართი სულმოუთქმელად ავირბინე და ეზოში შევვარდი. ვენახიდან თოხის ფლახუნი ისმოდა. პერანგი აივანზე ავაგდე და ზვარს მივაშურე. ახლოს არც კი ვიყავი მისული, დედაჩემმა წყევლა რომ შემომაგება. დედაჩემმა შეუდარებელი წყევლა იცოდა, ცემაც იცოდა, მაგრამ რომ წამოვიზარდე და ტანი ავიყარე, ცემით აღარა მცემდა, წყევლით კი... მოფერებაც იცოდა დედაჩემმა: ჩემო ერთავ, შენ გაეზარდე დედაშენს, შენზე ამომდის მზე და მთვარეო. ხშირად იტყოდა ჩემზე, გამოცხადებული ვანოაო ჩემი ვაჟკაცი, აწი რაღა მიჭირსო, ამას ვენაცვალეო.

ვიდრე ბებია ცოცხალი იყო, დედაჩემი ფეროში მუშაობდა, მაგრამ ბებიაჩემი რომ გარდაიცვალა, იძულებული გახდა ქარხანა დაეთმო.

— სად იყავი ამდენხანს, შე ფეხებგასახმობო! — შემომიტია დედამ. — შენ არ მომიკვდი! შენ მე გამაწამე და დამადნე!

თოხი მოვძებნე, ვენახში ჩავედი და დედას გვერდით ამოვუდექი.

— რა გეჩქარება ამის გათოხნა, იქნებ გაავდრებულიყო.

— ვერა ხედავ, შე თვალებდასავსებო, მწყერფეხამ რომ გადაიარა და გაახმო ვენახი! ლობიო ლობიოს აღარ ჰგავს, გამოყვითლდა და დაილია. შენ რომ გიყურო... — მოჰყვა დედაჩემი.

ვენახს თვალი მოვავლე. მწყერფეხა არცთუ მაინც და მაინც ბიბინებდა, ლობიოც ლამაზად იყო გაბარდნილი. ვაზს კიდეც აწუხებდა. თუ აქა-იქ ცოტას გამოვჩეხავდი, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ, აბა, გამბედა და ამეჩეხა ჩვენი უპირველესი საზრდო. არც კიტრის ბარდები იყვნენ დაჩაგრულები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს უხმოდ ვთოხნიდი. თავში ერთი ფიქრი მიტრიალებდა, მინდოდა მამის ამბავი მეკითხა, შესაფერ დროს ველოდებოდი. დედაჩემს გადავხედე, ისიც ფიქრობდა. ვიცოდი, ფიქრები ჩვენს ოჯახს, ვენახს, ლობიოს ბარდებს, სიმინდის ყანას და მე დამტრიალებდა.

— დედა, — დავიწყე ბოლოს გაუბედავად. — სად არის მამაჩემის საფლავი?

დედა შეკრთა, კინაღამ თოხი ხელიდან გაუვარდა, შუბლშეჭმუხნილი და გაკვირვებული მომჩერებოდა, სულს ძლივს ითქვამდა.

— ვინ გითხრა, შვილო, რომ მამაშენი მკვდარია?

— ვინ და ამბროსიმ, მამაშენის საფლავს უნდა ეძებდეო.

— ოჰ, მაგ ენაგასახმობი! მაგას დავაყარე შავი მიწა! მაგ ყიამყრალი... — დაიწყო დედაჩემმა, მერე იქვე ჩაჯდა და ხმამაღლა აქვითინდა.

გვერდით მივუჯექი, დამშვიდება დავუწყე, მეც ავტირდი, ცრემლი თავისით მცვივოდა თვალთაგან. „რა იყო, დედა, რა დაგემართა, ნუ სტირი, სირცხვილია“, — ვლუღლუღებდი და დედას ხელს ვხვევდი. როგორც იქნა დამშვიდდა, ცრემლი მოიწმინდა.

— რა იყო, დედა, რა მოხდა, მე ხომ პატარა აღარა ვარ, მე ხომ უნდა ვიცოდე სიმართლე! — ვუთხარი, როცა სრულებით დამშვიდდა.

— რა, შვილო, რა უნდა იცოდე? უგზოუკვლოდ დაიკარგაო. — ეს არის და ეს, მეტი მე არაფერი ვიცი!

## პაპაჩემი

შუადღე მოახლოებული იყო, ჭიათურიდან მომავალმა პატარა ორთქლმავალმა რომ იკივლა. პაპაჩემის ორთლქმავალი იყო, მე მიხმობდა. მე კი ვენახს ვთოხნიდი. გუშინ დედას შევპირდი, ხვალ ვენახის გამოთოხნას მოვრჩები-მეთქი, და ახლა ვჩქარობდი, პაპასთვის არ მინდოდა დამეხვედრებია, ისედაც ბევრი საქმე ელოდა: ვენახი შესაწამლი იყო, რასაც მე არ მანდობდნენ, — ვენახის შეწამვლას თავისი წესი აქვს და გამოცდილებაც უნდაო.

წუხელ დიდხანს არ დამეძინა, მამაჩემზე ვფიქრობდი, უგზოუკვლოდ როგორ დაიკარგა-მეთქი, თუ მკვდარია, კომისარიატში რატომ არ იციან, თუ ცოცხალია, წერილს რად არ იწერება? დედაჩემის საწოლს გადავხედე. არც დედას ეძინა, თვალი ჭერისთვის მიეპყრო და ფიქრობდა. წამოვდექი და ლოგინში შევუწექი. რატომ არა გძინავსო, მკითხა, მერე ხელები მომხვია, გულში ჩამიკრა და მომეფერა. როდის-როდის ჩამეძინა.

ორთქლმავალმა მეორედ იკივლა. თოხი ვაზის ჭიგოზე მივაყუდე და ქუდმოგლეჯილი თავდაღმა დავეშვი. ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე ქოშინით მორახრახებდა პატარა ორთქლმავალი, რომელსაც შავი ქვით დატვირთული რამდენიმე რონოდა ჰქონდა მობმული.

პაპაჩემს ორთქლმავლის სარკმლიდან გამოეყო ჭაღარა თავი. შორიდანვე მოვკარი თვალი პაპაჩემის ჩიბუხს, საიდანაც, მგონი, უფრო მეტი ბოლი ამოდიოდა, ვიდრე ორთქლმავლის საკვამლე მილიდან.

როგორც კი რკინიგზასთან გამოვჩნდი, ორთქლმავალმა ერთხელ კიდევ დაიკივლა და სვლა შეანელა. პაპაჩემმა კიბეზე ჩამოდგა ფეხი, ხორაგით სავსე კალათა მომაწოდა და გადმომძახა:

— შინ როგორა ხართ, ხომ არაფერი გიჭირთ?!

— არა, არაფერი, კარგადა ვართ! — ვუპასუხე და კალათა ჩამოვართვი.

ამ კითხვა-პასუხს ისე ვიყავი მიჩვეული, პაპაჩემს უცებ



სხვა რაიმე რომ ეკითხა, „კარგად ვართ-მეთქი“, მივახლიდი ალბათ.

პაპაჩემი ორთქლმავალში გაუჩინარდა, მერე წინანდებურადვე გამოყო თავი სარკმელში და ჩიბუხი გააბოლა. ლურჯი კვამლი ქულებად აიჭრა ცაში, ორთქლმავალს ძალა და სიჩქარე შეემატა. ჩემს თვალწინ მარგანეცით დატვირთულმა ვაგონებმა ჩაიხრიგინეს.

პაპაჩემი ორდღიან ცვლას ამთავრებდა, ახლა იგი მატარებელს ფეროში ჩაიყვანდა, მარგანეცს რომ დაცლიდნენ, ლოკომოტივს მორიგე მემანქანეს გადააბარებდა, მერე ამავე მატარებელს ჩვენი ვენახის ბოლომდე გამოჰყვებოდა და ორი დღე შინ დაისვენებდა. თუმცა რას დაისვენებდა: შინ, როგორც ვთქვი, უამრავი სამუშაო ელოდა, რომც არ ჰქონოდა სამუშაო, პაპაჩემი გამოძებნიდა და უსაქმოდ არ დაჯდებოდა.

პაპაჩემზე ძლიერი, კეთილი და საყვარელი ადამიანი მთელ ქვეყნიერებაზე არ მეგულებოდა. ჩემთვის სამყაროს შეცნობა პაპაჩემით იწყებოდა და პაპაჩემითვე მთავ-



როდებოდა. სამყაროს ცენტრში თეთრწვერა, ახმახი მოხუცი იდგა, რომელიც ტროსა და ვარამს მხრებში ოდნავ მოეხარა. მუდამ რკინიგზელის ტანსაცმელი ეცვა, მუდამ მოვაკარდიანი რკინიგზელის ქუდი ეხურა, განუწყვეტლად აბოლებდა ჩიბუხს და ფუსფუსებდა, ჰიანჭველასავით მარადიულ ჯაფასა და შრომაში იყო.

პაპაჩემსაც ძალიან ვუყვარდი, რადგან ჩემში თავისთავის განსახიერებას ხედავდა.

პაპაჩემს ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავდა. ქალიშვილები მალე გათხოვებულან; ვაჟებისთვის პაპაჩემს ორთქლმავლის ათ-ათჯერ უსწავლებია. როცა პენსიაზე გასულა, უმცროსი ვაჟისთვის, მამაჩემისთვის, გადაუბარებია ორთქლმავალი და ერთ ხანს ყველაფერი თურმე კარგად მიდიოდა: პაპაჩემი ყანას თოხნიდა, ვენახს სხლავდა, ბაღ-ბოსტანს უვლიდა. მაგრამ დიდხანს არ დასცლია გლეხკაცური ცხოვრება — მალე ომი დაწყებულა. ორივე ვაჟი და სიძეები ფრონტზე წასულან. პაპაჩემს ისევ დაუხურავს რკინიგზელის კაკარდიანი ქუდი და კვლავ ფოლადის რაშზე შემჯდარა.

ომი რომ დამთავრდა, უფროსი ვაჟი და სიძეები დაბრუნდნენ. უმცროსი ვაჟისა კი არაფერი ისმოდა. სიძეები ქუთაისში ცხოვრობდნენ. ბიძაჩემმა კი თბილისში წაასხა ცოლშვილი და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა ინჟინრად.

პაპაჩემი კი ელოდა, ელოდა უმცროს ვაჟიშვილს და ამ ლოდინში ზეზეულა დნებოდა ბერიკაცი, ორთქლმავლის საქმეს კი მაინც არ უშვებდა ხელს. ძალიან უყვარდა პაპაჩემს ორთქლმავალი, ხშირად იტყოდა ხოლმე: ორთქლმავალი ძალიან ძლიერია, რადგან წყლისა და ცეცხლის ძალით მოძრაობსო.

ელმავალს ალმაცერად უყურებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს ახალი ლოკომოტივი მალე „დაასამარებდა" ორთქლმავალს და გული უკვდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ქიათურისაკენ ფართოლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა დაიწყეს და ვიწროლიანდაგიანს, რომელზეც პაპაჩემი „კუკუშკას" დააქროლებდა, აყრით დაემუქრნენ.

ასეთი იყო პაპაჩემი. ის მასწავლიდა ყველაფერს, მისგან ვიცოდი, რომ ქიათურის მთების წიაღში, მაღაროებში, ამგრევდნენ მარგანეცს, პატარა ვაგონებით გარეთ გამოჰქონდათ, ეზოებში რეცხდნენ, მერე გამდიდრებული მადანი პაპაჩემს მატარებლით ზესტაფონის ფეროში ჩამოჰქონდა, აქ კი მადანს ლითონს ურევდნენ და მტკიცე შენადნობს ამზადებდნენ.

...პაპაჩემის ჩამოწოდებულ კალათას მაგრად ჩავჰიდე ხელი და, ის იყო ალმართს უნდა შევყოლოდი, ჩემი ყურადღება სამმა ძველმა ორთქლმავალმა მიიქცია. ეს ორთქლმავლები დიდიხანია აქ იდგნენ, ბევრჯერ დავმალულვართ ამ გოლიათებში ბიჭები. მაგრამ ახლა სხვა თვალით შევხედე ჟანგმოდებულ, ნაომარ ორთქლმავლებს და ერთმა აზრმა გამიელვა თავში. უკანვე მივბრუნდი, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გადავიარე და ორთქლმავლებთან მივედი. კალათა ძირს დავდგი და პირველსავე ორთქლმავლის კიბეზე ავედი, შევათვალიერე. ლოკომოტივი ჯანსაღად გამოიყურებოდა, საკმარისი იყო ღუმელში ცეცხლს ეგუგუნა და მილებში ორთქლს ემოძრავა, რომ ორთქლმავალი გამოცოცხლებულიყო. აზრმა, რომელმაც ორთქლმავალზე ამომიყვანა, უცებ ძლიერ შემაშინა. არ გამოგიცდიათ, საკუთარ ჩანაფიქრს რომ შეეშინებინეთ?

გაგრძელება იქნება.






# საბჭოთა არქიტექტურა

**კიევი. კრეშჩატიკი**

დიდმა სამამულო ომმა, რასაკვირველია, შეაჩერა ფართო მშენებლობა. იმ დროს ყველა ძალა, ყველა სახსარი სამშობლოს დაცვისა და განთავისუფლების ინტერესებს ხმარდებოდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მშენებლობა მთლიანად შეჩერდა. ომის წლებში გაგრძელდა მოსკოვის მეტროპოლიტენის ხაზი, ტაშკენტში განახლდა, ხოლო დუშანბეში დამთავრდა თეატრების მშენებლობა, დაიწყო რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის აგება (მაგალითად, ხრამის კასკადისა საქართველოში). 1943 წელს, გაფთრებული ბრძოლების პერიოდში, საბჭოთა მთავრობამ გასცა განკარგულება ომით დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენითი სამუშაოების დასაწყებად საპროექტო საქმის ორგანიზაციის შესახებ. ომით მიყენებული ზარალი კი უზომოდ დიდი იყო. მტერზე გამარჯვების შემდეგ გამოირკვა, რომ ომის ქარცეცხლმა დაანგრია 1710 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილი, 70 ათასამდე სოფელი. საჭირო იყო მათი აღდგენა, თანაც რაც შეიძლება მალე, ამასთან მათი იერი ომამდელზე უკეთესი უნდა ყოფილიყო. 1946 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება რსფსრ-ს, ომით დანგრეული, 15 დიდი ქალაქის ცენტრების რეკონსტრუქციის შესახებ. რასაკვირველია, მშენებლობა არ უნდა შეწყვეტილიყო უზარმაზარი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც. დიდი, ძალზე დიდი, საპატიო მოვალეობა ეკისრებოდათ საბჭოთა მშენებლებს, დამპროექტებლებს, საბჭოთა არქიტექტორებს. სულ მოკლე დროში მათ გადაწყვიტეს ეს პატრიოტული ამოცანა.



დასასრული. იხ. „პიონერი" № 2.

ამ მუშაობის დიდი გაქანება და მასშტაბი კარგად ჩანს უკრაინის დედაქალაქის — კიევის მაგალითზე. ომის დასასრულისათვის კიევი ნანგრევების გროვას წარმოადგენდა. განსაკუთრებით დაზიანდა მისი ცენტრალური, კიეველების საყვარელი ქუჩა კრეშჩატიკი. როდესაც ეს ქუჩა ნანგრევებისაგან გაწმინდეს, ცხადი გახდა, რომ მისი ძველებური სახით აღდგენა არ შეიძლებოდა. ძველად ეს ქუჩა ვიწრო დერეფანივით იყო გაჭიმული, მის ორივე მხარეს მდებარე გორაკებს ქუჩის კედლებით ფარავდა. ახალი კრეშჩატიკის დასაპროექტებლად, არა მარტო უკრაინელი, არამედ მოსკოველი და ლენინგრადელი ხუროთმოძღვრებიც მიიწვიეს. უკვე 1945 წელს ჩატარდა კონკურსები, რომლებმაც გამოავლინეს ქუჩის სივრცობრივი გადაწყვეტის ახალი იდეები.

განახლებული კრეშჩატიკი, რომლის პროექტი 1947 წელს შექმნეს არქიტექტორებმა ა. ვლასოვმა, ა. დობროვოლსკიმ, ვ. ელიზაროვმა, ა. ზავაროვმა, ა. მალინოვსკიმ, ბ. პრიიმაკმა, აღარ არის ძველებური ქუჩა-დერეფანი. შესანიშნავად არის გამოყენებული ბუნებრივი პირობები — ცხოველხატული გორაკიანი რელიეფი. ქუჩა მდორე რკალით უხვევს და ამ გორაკებს შორის მიედინება. გამოყენებულია განაშენიანების ახალი, იმ დროისათვის პროგრესული პრინციპი — ნაგებობები ერთმანეთთან არ არის მიჯრილი. მათ შორის ბევრი სივრცე, ბევრი ჰაერია. ზოგიერთი მათგანი უკან არის დახეული, ზოგი ქუჩის პირას აღმართულა, ზოგი კი გორაკზე წამომჯდარა. ამასთან, ეს თავისუფალი ვანლაგება ურთიერთ შეწონასწორებულია, რელიეფს ემორჩილება. ქუჩის არქიტექტურაში შემოიჭრა ახლომახლო უბნების გორაკებზე მდებარე განაშენიანება, განივი ქუჩების ხაზები. ყველაზე მაღალი ადგილები ხაზგასმულია მაღალსართულიანი საბლების აქცენტებით. ასეთია კრეშჩატიკის მარცხენა მხარე. ვინაიდან მის მარჯვენა მხარეს უფრო მეტი გადარჩა ძველი კაპიტალური ნაგებობები, აქ განაშენიანება მოდა ქუჩის პირზე, წითელ ხაზზე. მაგისტრალი გაფართოვდა ორჯერ უფრო მეტად და ახლა იგი 12 მეტრი სიგანისაა. მარცხენა მხარეს ორ დონეზე მოწყობილია ტროტუარები, მწვანე ფერდობები და ხეების სამი რიგი, რაც ხაზს უსვამს რელიეფის ცხოველხატულობას. ფართო სავალი ნაწილი, 14 მეტრი სიგანის ტროტუარები, გრანიტის ბორდიურები, მაღალი ნათურები დედაქალაქურ მასშტაბს ანიჭებენ განახლებულ კრეშჩატიკს. რაც მთავარია, იგი ნამდვილად ახალი, დიდი კიევის მთავარი მაგისტრალია, მისი ცენტრის მაორგანიზებელი ღერძია. ასე დაუბრუნეს საბჭოთა არქიტექტორებმა კიეველებს განახლებული და გალამაზებული ქუჩა — კრეშჩატიკი. და განა მარტო კიევში მოხდა ასე, არამედ ლენინგრადშიც, მინსკშიც, ვოლგოგრადშიც...

მაგრამ, როდესაც ომისშემდგომი პერიოდის — 40-

იანი წლების არქიტექტურაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა: ამ დროს საბჭოთა არქიტექტორები ძალზე გაიტაცა ხუროთმოძღვრების გარეგანმა სახემ. ისინი ნაგებობის ფასადს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ვიდრე მის ფუნქციურ, შინაგან მხარეს. ამასთან ფასადების არქიტექტურაში სულ მეტად და მეტად იყენებდნენ ძველი არქიტექტურიდან ნასესხებ ფორმებს, დეტალებს. სახლის სილამაზე ფასდებოდა იმით, თუ რამდენად იყო შემკული ორნამენტებით, ან რამდენად მონუმენტური, საზეიმო იერი ჰქონდა.

ნაკლები ყურადღება ექცეოდა ტიპიურ პროექტირებას, ახალი პროგრესული მასალების, კონსტრუქციების გამოყენებას. ასეთი შეცდომები გვხვდებოდა არა მარტო უნიკალური, მნიშვნელოვანი ნაგებობების მშენებლობის დროს (მაგალითად, სიმაღლოვანი სახლები მოსკოვში, რომელთა აშენება თავისთავად, ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით, მოსკოვის სილუეტის გაუმჯობესებისათვის მეტად საჭირო იყო), არამედ მასიურ მშენებლობაშიც. ეს იწვევდა ზედმეტ სამშენებლო ხარჯებს. სამწუხაროდ, ასეთივე ხასიათის შეცდომებია დაშვებული კრეშჩატიკზე ამ პერიოდში აგებული სახლების არქიტექტურაშიც.

ეს იყო უცხო, დროებითი გატაცება საბჭოთა არქიტექტურაში, რომლის ჩამოშორება აუცილებელი გახდა.

## არტეკი

დიდი ცვლილებები მოხდა საბჭოთა არქიტექტურაში 50-იანი წლების შუა პერიოდიდან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის მიერ საბჭოთა არქიტექტორები სამართლიანად იქნენ გაკრიტიკებული ზემოთ ნახსენები შეცდომებისათვის. არქიტექტორებმაც ნელ-ნელა ჩამოიცილეს „ზედმეტობის“ ტვირთი, უფრო ფართოდ დაიწყეს ახალი სამშენებლო მასალების და პროგრესული კონსტრუქციების გამოყენება. ფორმები გახდა სადა, მსუბუქი, მართალი, სათავსები კი — სინათლიანი. გაიაფდა მშენებლობა. სახსრების ყაირათიანმა განაწილებამ ქვეყანას საშუალება მისცა, გარდა უნიკალური ნაგებობებისა (კრემლის ყრილობათა სასახლე მოსკოვში, სპორტის სასახლეები კიევში, ლენინგრადში, თბილისში, თეატრი ერევანში, ხელოვნების სასახლე ტაშკენტში და სხვ.), დაეწყო და მოკლე დროში განეხორციელებინა ბევრი საინტერესო, დიდი კომპლექსის მშენებლობა. მაგალითად — საცხოვრებელი მასივები მოსკოვში, ვილნიუსში და სხვა ქალაქებში, ახალი, კალინინის პროსპექტი მოსკოვში, მთელი ახალი ქალაქი ნავოი, დასასვენებელი-ტურისტული კომპლექსი ბიჭვინთაში... ასეთივე დიდი კომპლექსებით განხორციელდა რამდენიმე საბავშვო-პიონერული ნაგებობის მშენებლობა: პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები მოსკოვსა და კიევში, გამაჯანსაღებელი ბანაკი „ორლიონოკი“... განსაკუთრებით აღსანიშნავია საქვეყნოდ ცნობილი პიონერთა ბანაკის — არტეკის არქიტექტურა, სადაც დღევანდელი საბჭოთა არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ბევრი სიახლეა.

ახალი „დიდი არტეკი“ 5 კილომეტრზეა გაჭიმული შავი ზღვის ნაპირზე — ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, მთა მედვედიდან გენუის ციხე-სიმაგრის ქარაფებამდე. 300 ჰექტარი ტერიტორია დათმობილი აქვს ბავშვებს. როდესაც მთლიანად დამთავრდება გენერალური გეგმით გათვალისწინებული ყველა ექვსი პიონერთა ბანაკის მშენებლობა, აქ ერთდროულად 6000 პიონერი და მოსწავლე დაისვენებს. რაოდენ შორს არის მისი ახლანდელი და მომავალი სახე 1924 წლის არტეკისაგან, როდესაც ბრეზენტის ოთხ კარავში აქ პირველად მოვიდნენ პიონერები! ფიცრით შეჭედილი მაგიდები, სკამები, ნავთის ლამპები... — აი, რა დახვდათ პიონერული ცხოვრების რომანტიკით გატაცებულ ბავშვებს. მას შემდეგ 45 წელი გავიდა. არტეკი ნელ-ნელა იზრდებოდა, შენდებოდა. მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიურად ეს მშენებლობა 50-60-იანი წლების მიჯნაზე გაიშალა.

პირველყოვლისა, გადაწყდა მშენებლობა ერთიანი გეგმით, კომპლექსურად წარმართულიყო. შედგა გენერალური გეგმა. მშენებლობა რომ დაჩქარებულიყო, არქიტექტორებმა კონსტრუქტორებთან ერთად შეიმუშავეს ყველა ნაგებობისათვის ისეთი არქიტექტურული ფორმები, ისეთი მაღალეკონომიური კონსტრუქციები და დეტალები, რომლებიც საშუალებას მისცემდათ მშენებლობაზე გამოეყენებინათ მთლიანი ინდუსტრიალიზაცია და ანაკრეფობა. ამასთან საჭირო იყო ამ დეტალებით სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა აგება. შეიქმნა ექვსი ისეთი რკინა-ბეტონის დეტალი, რომლებიც საქარხნო წესით მზადდებოდა და, რომელთა საშუალებით იკრიფებოდა ბანაკის ყველა 70, ამჟამად აგებული ნაგებობა. მიუხედავად ამისა, ეს ნაგებობები განსხვავდება ერთმანეთისაგან სართულიანობით, სიგრძით, რელიეფზე დასმით, ფერით, ტერიტორიის კეთილმოწყობით და მთლიანად მოცულობითი გადაწყვეტით. ამიტომ ეს ნაგებობები, ცალ-ცალკე და ერთად, არ არის მოსაწყენი, ერთფეროვანი.

შენობები კარგად არის მორგებული რელიეფს. არქიტექტორებმა იზრუნეს იმისათვის, რომ გამოყენებული ყოფილიყო ადგილობრივი ბუნების ყველა სიკეთე ან გაეუმჯობესებიათ იგი. ასე მაგალითად: ბანაკ „მორსკოის“ კორპუსები ზღვასთან ახლოს განალაგეს, რადგან ტერიტორიის სიღრმეში საჭირო იყო შეენარჩუნებინათ ძვირფასი სუბტროპიკული ნარგავები. სამაგიეროდ, ბანაკი „პრიბრეჟნი“ გორაკებზე გააშენეს — აქ თუმცა ერთი ძირი ხე არ იყო, მაგრამ უკეთესი ჰავაა და ხედიც უკეთესი იხსნება. ახლა აქ 35 ათასზე მეტი ხეა დარგული. ყოველი ნაგებობა (განსაკუთრებით, საძილე პალატები) მაქსიმალურად არის გახსნილი სინათლის, ჰაერისა და ბუნებისაკენ — ზღვისა და მთებისკენ. ამასთან სათავსები სპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



არტეკი.

ციალური ნაკეთობებით არის დაცული მზით გადახურებისაგან.

როდესაც ცალკეულ ბანაკებს აგეგმარებდნენ, დამპროექტებლები ბევრს ფიქრობდნენ პიონერული ცხოვრების სპეციფიკაზე. ამიტომ არის, რომ თვითეულ პალატაში ცხოვრობს ათი პიონერი — ეს ერთი რგოლია. კორპუსში ერთი რაზმია, ხოლო კორპუსების ჯგუფი ქმნის რაზმეულს. პალატებთან აუცილებლად არის საყოფაცხოვრებო ოთახი საპირფარეშოთი, ფეხების საბანით, ინდივიდუალური კარადებით, ფეხსაცმლის შესანახით და სხვ. ცალკეა პიონერხელმძღვანელთა ოთახი. კორპუსის ბრტყელ სახურავზე პიონერების შესაკრები ადგილია, — აქ ეწყობა ხაზი, შეკრებები, ცეკვა-თამაში...

ყოველ ბანაკს აქვს საერთო შესაკრები ადგილი, სპორტული მოედანი, საცურაო აუზები, ბიბლიოთეკა, სასადილო და სხვ.

ნაგებობების არქიტექტურაში და საერთო ტერიტორიის კეთილმოწყობაში ფართოდ არის გამოყენებული ხელოვნების სხვა დარგები. ფერადი მინის ვიტრაჟით არის მორთული ერთ-ერთი ბიბლიოთეკის კედელი, მოზაიკური კედელი ამკობს მეგობრობის მოედანს, „ფესტივალის" აუზს. იქ, სადაც მდინარე არტეკი ზღვას უერთდება, აღმართულია „მსოფლიოს ბავშვთა მეგობრობის" მონუმენტი. ყველაფერში იგრძნობა იმაზე ზრუნვა, რომ ყველაფერი იყოს ლამაზი, კოხტა — მოკირწყლული გზები, კიბეები, წყლის სასმელი შადრევნები, მწვანე მოლი...

მთელი კომპლექსის სახე, მისი არქიტექტურული იერი სიცოცხლით სავსეა, მხიარული, ცხოველხატულია — სწორედ ისეთი, როგორიც შეეფერება ახალ თაობას. მის შემქმნელ კოლექტივს, არქიტექტორ ა. პოლიანსკისთან ერთად, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა.

უფრო საინტერესოა არტეკის მომავალი. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილს დაიჭერს ბანაკი „ლაზურნი", მის გვერდით ბანაკი „კიპარისნი" წამოიმართება, კიდევ უფრო მაღლა, ბანაკ „გორნის" თავზე კი — ბანაკი „ვოზდუშნი". ახალი არტეკის ცენტრში განლაგდება მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის და ხელოვნების კომპლექსი. აქ იქნება „პიონერული სწავლების სახლი", „ხელოვნების სახლი" და „ლენინის აუდიტორია". მეგობრობის მოედნის ქვემოთ გაიშლება სპორტული კომპლექსი დიდი სტადიონით, ღია საცურაო აუზით და დახურული სპორტული დარბაზით. ხოლო კომპლექსიდან ცოტა მოშორებით აიგება „სამეცნიერო ფანტასტიკის ქალაქი" — აქ იქნება ობსერვატორია, კოსმოსური რაკეტა, რობოტის სახლი, მათემატიკური ლაბირინთი...

ამრიგად, პიონერთა საერთაშორისო ბანაკი არტეკი ახლო მომავალში კიდევ უფრო მიმზიდველი და საყვარელი გახდება საბჭოთა და სხვა ქვეყნების მოზარდი თაობებისათვის.



სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ, სასიამოვნოა წყალში შენს ნებაზე ყუმბალაობა.

ბ. კამენსკი.
სპორტის ოსტატი.
ფოტო ავტორისა

ზამთარია. მაგრამ არის დედაქალაქში ერთი ადგილი, სადაც ზამთარშიაც თბილა, არც მზეა, არც გახურებული სილა — მაინც თბილა. ესაა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ღია საცურაო აუზი, ორთაჭალმესთან. აუზს საზაფხულო ჰქვია, მაგრამ აქ ზამთრობითაც ლურჯად ლივლივებს წყალი. ბავშვების ჟრიამული აყრუებს არემარეს. აუზში მილებით თბილი წყალი შედის. წყლის ანაორთქლი თბილი საბანივით ახურავს და ათბობს იქაურობას. იქ ყინვა-ქარი ვერავის აშინებს. დღემუდამ მეცადინეობენ, სხეულს იკაჟებენ, ეუფლებიან ცურვის ანბანს. ჩვენ აქ შემთხვევით არ ვახსენეთ სიტყვა „ანბანი". აუზში ბევრ პირველ-

11301

# ზამთრის ყინვა არ აშინებთ...

კლასელსაც ნახავთ. სკოლაში—ანბანის პირველი ასოები, აქ — ცურვის პირველი ელემენტები. ასე რომ, აქ მოვარჯიშე ბავშვზე ვერავინ იტყვის ძველ რომაულ ანდაზას: „ამან არც კითხვა იცის, არც ცურვა".

ბევრი თქვენგანივით ოდესღაც ალბათ თინა ლეკვეიშვილიც უფრთხოდა წყალს — ზამთარში რა ჩავა წყალშიო, მაგრამ ახლა? მერ-



ცოტაც და, თბილისის 78-ე საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე დიმა კოსაელოვი წყალში გადაეშვება.



მწვრთნელი გ. ჩიქვანაია საგულდაგულოდ უსწორებს ბავშვებს შეცდომებს.





საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი თ. ლეკვეიშვილი.
ფოტო მ. ზარბარიანისა.



ყველაზე „ცივი“ ადგილი — გზა აუზიდან გასახდელისაკენ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ვეკლასელი თინა მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილეა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ევროპის თასის მფლობელი.

თუ რაოდენ შეუყვარდა თინას ცურვა, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ იგი ყოველდღე 4-5 საათს ატარებს წყალში და 10 კილომეტრამდე მანძილს გადის.

თქვენი საქმე როგორღა არის, ბავშვებო? ხომ გინდათ ისწავლოთ ცურვა? მაშ, ნუ დაელოდებით ზაფხულს, გაეშურეთ საცურაო აუზებისაკენ. მაგალითად გყავდეთ თქვენი სპორტსმენი თანატოლები და ცნობილი მოცურავეები.

ყველა თქვენთაგანს ძალუძს კარგი სპორტსმენი გახდეს, ოღონდ ნუ დააყოვნებთ, პატარაობიდანვე მიაშურეთ აუზებს.



ექიმი ლ. ზაუტაშვილი დღეში რამდენჯერმე ამოწმებს წყლის ტემპერატურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ ბარკალაია

## მშობლიურ სოფელში

გზამოქარგული რძია-რძიებით,
მივსდევ ბავშვობის წმინდა ნაკვალევს...
თეთრად ჰყვავიან აკაციები,
ქარი ტირიფებს ჩუმად აწვალებს.

კვირტები სურნელს აფრქვევენ ველად,
ანათებს თეთრი მტევნები მაღლა,
კაშკაშებს მთვარე, და როგორც ძველად,
კვლავ მივიჩქარი სოფლისკენ ახლა.

ღელვით გავცქერი ნაცნობ გარემოს,
სითბოს, სინაზეს ვიჭერ ღამეში...
ნეტავ როგორღა უნდა განმევლო
სიცოცხლე ჩემი სოფლის გარეშე!

იქ გაზაფხულზე მუდამ მღერიან,
თრთიან ტოტები ქარში გარჯილი,
თითქოს შეიცნეს, რარიგ მწველია
მოგონებაც კი მათი აჩრდილის...

და მდინარესთან, ქალაში, აგერ,
წისქვილიც ძველი, ძილს მიცემული,
შემხვდება, როგორც წარსულის სარკე,
სამარადისოდ მივიწყებული.



ლალი ჯაფარაშვილი

## სოფლის ღამე

ჭრიჭინებმა ჭრიალით
მოიყვანეს ღამე,
სულის მოსათქმელადაც
არ გაჩერდნენ წუთით,
ციცქნა ციცინათელები
გზაზე მიმოყარეს და
ცაზე გამოაგორეს
მთვარის დიდი ბურთი.

ნენე კერესელიძე

## წვიმა

წვიმა სოფელს მაგონებს,
ოღროჩოღრო მთაგორებს.
წვიმავ, წვიმავ, წვიმამღალო
რა წკრიალა წვიმა ხარო!
თავს გიხრიან ტირიფები,
დაიშალეს ხშირი თმები.
მიყვარს ელვის გაელვება
წვიმაში რომ გაევლება.
როცა ასე კარგად წვიმს,
გამოვდივარ სახლიდან.
ხედავთ, წვიმამ ხეებზე
რა მძივები დაჰკიდა?



## იუმორი

ერთი ბიჭი ზაფხულის არდადეგებზე სოფელში, მშობლებთან წავიდა. ვახშამზე დედამ ორი შემწვარი მტრედი შემოიტანა. ბიჭმა ცოდნით თავი გამოიდო და მშობლებს უთხრა:

— მე შემიძლია არითმეტიკულად დაგიმტკიცოთ, რომ ეს ორი მტრედი სინამდვილეში სამია.

— აბა, დაგვიმტკიცე, — უთხრა მამამ.

— სიამოვნებით. ეს — ერთი მტრედი, ესეც — მეორე მტრედი, ერთს მივუმატოთ ორი, იქნება სამი!

— რაკი ასეა, დედაშენი ამ ერთ მტრედს შეჭამს, მეორეს მე გეახლები, შენ კი მესამე მტრედი მიირთვი! — უთხრა მამამ ღიმილით.

●

დედა — ჯონ, კარადაში ორი ნაჭერი ნამცხვარი დავტოვე, ერთიღა დამხვდა. ხომ არ იცი, რა იქნა?

ჯონი — კარადაში ბნელოდა, თორემ ეგ ერთიც აღარ დაგხვდებოდა.

●

— ძია, ტელესკოპით ცაზე ყველაფერს ხედავთ?

— რა თქმა უნდა!

— მაშინ, იქნებ დაინახოთ, რა იქნა ჩემი ბურთი, ამ დილით ფეხი რომ ამოვკარი და ჰაერში ავისროლე.

●

ქალი — რატომ სტირი, ბიჭიკო?

ბიჭი — მამაჩემი საპონს ჰყიდის და, რამდენი მყიდველიც გამოჩნდება, მამა იმდენჯერ თავსა მბანს: აი ნახეთ რა კარგი საპონიაო!

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა ხიდაშელიძემ.



# მამა

კონსტანტინე
პაუსტოვსკი

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

რაც დრო გადიოდა, ყოველი ახალი ზამთარი წინაზე უფრო გრძელი ეჩვენებოდა ტიხონ პეტროვიჩს. კალენდრით ყველაფერი სწორად გამოდიოდა. გაზაფხული თავის კანონიერ ვადებში, დროზე ბრუნდებოდა, მაგრამ ლოდინი თანდათან ძნელდებოდა.

— ყველაფერი სიბერის ბრალია, — ეუბნებოდა თავისთავს ტიხონ პეტროვიჩი. — ხანში შესული ადამიანი გაზაფხულებს თითებზე ითვლის, ანგარიშობს, — კიდევ რამდენჯერ ერგება გაზაფხულის სითბო. ამიტომაც ნერვიულობს. ახალგაზრდობა კი სხვა ამბავია!

მაგრამ ტიხონ პეტროვიჩს, რა თქმა უნდა, უფრო საფუძვლიანი მიზეზებიც ჰქონდა, რომ მოუთმენლად დალოდებოდა გაზაფხულს. იმდენად თავისთვის არ ელოდა გაზაფხულის სითბოს, რამდენადაც თავისი მცენარეებისათვის, ან, როგორც იცოდა თქმა, თავისი „მცენარეული ოჯახისათვის". სხვა ოჯახი ტიხონ პეტროვიჩს არასოდეს ჰყოლია, რადგან საბოლოოდ უცოლოდ ეწერა გადაშენება. გარეგნობაზეც კი შეამჩნევდით ამას: გამხდარი იყო, რაღაცნაირი მკაცრი იერი ჰქონდა და თავისთავთან ლაპარაკი დასჩემებოდა, ზოგჯერ კარგა გვარიანადაც ჩხუბობდა.

ტიხონ პეტროვიჩი ხეხილის სანერგეში მუშაობდა პატარა რაიონულ ქალაქ რაზგოვოროვში. მას თავისი ნაკვეთიც ჰქონდა ბაღითა და სათბურებით, სადაც, მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, „ექსპერიმენტული" მცენარეები გამოჰყავდა. ნაკვეთი პატარა იყო, მაგრამ იმდენი ლამაზი და მოვლილი მცენარე ჰქონდა ზედ, რომ დიდი მოგეჩვენებოდათ.

ტიხონ პეტროვიჩს დიდი ხანია გამოცდილი და გაბედული მებაღის სახელი გავარდნოდა. „ჩვენი მიჩურინია, — სიამაყით ამბობდნენ ქალაქის მცხოვრებლები, — საქმის ერთგული კაცია, ყველას მრჩეველი და შემწე. ერთი ნაკლი ისა აქვს, რომ საქმეებში გართულს ოჯახის შექმნა გადაავიწყდა. ასე მარტოდმარტო ცხოვრობს".

ტიხონ პეტროვიჩის სანერგე ოლქის ფარგლებს გარეთაც იყო ცნობილი. ტიხონ პეტროვიჩთან ხშირად ჩამოდიოდნენ მებაღეები რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან, ზოგჯერ მოსკოვიდანაც კი. ისიც ხალისით უზიარებდა თავის ცოდნას. ამიტომაც ტიხონ პეტროვიჩი თავისი პატარა სახლის მეზონინში დასახლდა, ქვედა ორი ოთახი კი ჩამომსვლელთათვის ჰქონდა გამოყოფილი. ამ ოთახებს ტიხონ პეტროვიჩი „სასტუმროს" ან „საპრაქტიკანტოს" უწოდებდა, რადგან ყოველ წელიწადს საოლქო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პრაქტიკანტი სტუდენტები ცხოვრობდნენ შიგ.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ადამიანი, რომელიც დროებით მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი საყვარელი საქმე აკეთოს, გამუდმებით ემზადება ამ საქმისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ მონადირეები მთელი ზამთარი თოფებს წმენდენ და ვაზნებს სტენიან, მეთევზეები ანკესის მკედებს წნავენ და ტივტივებს ღებავენ, ხოლო მეზღვაურები რუკებს ხატავენ. ტიხონ პეტროვიჩი კი ზამთრობით თავის ვიწრო მეზონინში იჯდა და თავისუფალ დროს „ხეხილის, ბუჩქების, ბოსტნეულისა და ყვავილების გამოზრდის სახელმძღვანელოს" წერდა.

ტიხონ პეტროვიჩის ნაშრომი ისეთი საფუძვლიანი იყო, რომ სავსებით ამართლებდა „სახელმძღვანელოს" სახელს. მართლაც, ტიხონ პეტროვიჩი თითქოს ხელს ჰკიდებდა გამოუცდელ ადამიანს, კვლებში დაატარებდა და აუჩქარებლად უამბობდა, როგორ გაეხადა მიწა ნოყიერი და ფოხიერი, რათა ზედ გაზრდილიყვნენ ნაზი და სურნელოვანი არსებები — ყვავილები, რომლებიც ჩვენ დიდი ხანია აღარ გვაკვირვებენ.

—ძალიანაც ცუდია, რომ აღარ გვაკვირვებენ, — იტყოდა ხოლმე ტიხონ პეტროვიჩი. — ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს გაკვირვების უნარი, თუკი ის ნამდვილი ადამიანია და არა უსულგულო ანგარიშებით გატენილი პორტფელი.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მართალი იყო, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ყოველი ზამთარი უფრო გრძელი ეჩვენებოდა ტიხონ პეტროვიჩს. ეს კიდევ რაა, თანდათან იმ აზრამდეც მივიდა, თითქოს თვითონაც აღარავისათვის იყო საჭირო.

როცა საქმე საქმეზე მიდგა, ცხადი შეიქნა, რომ მარტოხელა კაცის ცხოვრება, თუნდაც იგი თავისუფალი იყოს და კარგ, სასარგებლო შრომას ეძლევოდეს, მაინც არ ვარგა, თუ ოჯახური სიხარული არ ახლავს. საკუთარ თავზე ზრუნვაც კი თანდათან უფრო მოსაწყენი ხდებოდა.

„ნეტავი შემეძლოს, ყველაზე ძვირფასი რამ ვაჩუქო ვინმეს, — ფიქრობდა ტიხონ პეტროვიჩი, — ვასიამოვნო მახლობელ ადამიანს. არავინა მყავს ასეთი. სხვებს ცოლები ჰყავთ, შვილები, მთელი ჩემი ოჯახი კი მხოლოობით რიცხვშია წარმოდგენილი".

მაგრამ ტიხონ პეტროვიჩი მაშინვე იმით იმშვიდებდა თავს, რომ მისი ხელობის კაცისათვის ბავშვები უბედურებაა. ყველაფერს გადათელავენ. ქათმებზე უარესები არიან. რა დროს ბავშვებია, როცა ტიხონ პეტროვიჩი არათუ მოტეხილი ტოტის ან ყვავილის, გათელილი ბალახის დანახვაზეც კი ოხრავდა და შუბლს იკრავდა.

გაზაფხული, როგორც ყოველთვის, ადრიან დილით ჩამოდგა. იგი მეზონინის ძელურ კედელზე გამოჩნდა ნარინჯისფერი, თბილი მზის შუქის სახით და გრძელი ზამთრის განმავლობაში შეუმჩნეველი ფისის წვეთი იმ დილით თოპაზის ქვასავით აკიაფდა მორის ნახეთქში. შიგ პატარა ვერცხლისფერი ტიხრები და ძაფები მოჩანდა, ამ უმნიშვნელო წვეთს რამდენიმე ზღაპრულ ნაწილად რომ ჰყოფდნენ.

დროა! — წარმოთქვა ტიხონ პეტროვიჩმა, ამ წვეთს რომ შეხედა, ,,სახელმძღვანელოს‘‘ დაუმთავრებელი ხელნაწერი მაგიდის უჯრაში შეინახა მომავალ ზამთრამდე და თესლის გადარჩევას შეუდგა, რათა ლამბაქებში დაეთესა და ფანჯრის რაფებზე ჩაემწკრივებინა თბილ სახლსა და შემინულ დერეფანში.

შემდეგ კი მძიმე, ნისლიანი დღეები წამოვიდა. ზამთრის გზები თითქოს ერთიანად დაიჟანგაო, ქლალი ფერისა გახდა; ტყიდან ნესტიანმა ნიავმა დაბერა, ყავრის სახურავებს ორთქლი ავარდა. აპრილის ერთ დღეს ყინულმა ამოიოხრა მდინარეზე. დილით კი დაიწყო ჩვეულებრივი, სწრაფი ყინულსვლა, მდინარე ადიდდა და შვიდ კილომეტრზე გაიშალა.



გაზაფხულის წყალს ნავთობისა და თოვლის გრილი სუნი ასდიოდა. წყლის პირას ჩამწკრივებული ტირიფის ტოტებს მწყობრ რიგებად დაასხდნენ ნაცარა, ფუმფულა კელები — ნორჩი კვირტები.

საოლქო ქალაქიდან პირველი გემი მოვიდა. ტიხონ პეტროვიჩი ქალაქში გაჰყვა მას სანერგის საქმეებზე და ზოგიერთი მცენარის ჩითილების ჩამოსატანად. ქალაქამდე სულ ხუთი საათის გზა იყო.

ქალაქიდან გემი ბინდბუნდში გამობრუნდა და პირდაპირ ადიდებულ წყალს გამოჰყვა. ბაკენები ჯერ არ ენთო.

ტიხონ პეტროვიჩი გემბანზე იჯდა, თუმცა წყალზე ციოდა. ფეხებშუა ჩითილებით სავსე კალათა ედგა. ქვევით, საერთო კაიუტაში, სითბო იყო, ცხელოდა კიდეც, მაგრამ ტიხონ პეტროვიჩი არ ჩადიოდა იქ — უფრთხილდებოდა ჩითილებს. ისინი ხომ სიცხეში სწრაფად ჭკნება.

გემბანზე სულ რამდენიმე მგზავრი იყო: მხერხავები, შეფუთნული ქალები და სულ ახალგაზრდა, ოციოდე წლის ქალიშვილი პატარა გოგონასთან ერთად. გამხდარი, ფერმკრთალი და ცნობისმოყვარე გოგონა, — იგი სულ ექვსი წლისა იქნებოდა, — არაფრით არ მიდიოდა გემბანიდან.

მხერხავები აბოლებდნენ ისე მაგრად, რომ ადიდებული მდინარიდან მობერილ ქარსაც კი ვერ დაეძლია წეკოს სუნი, და თან ზუზუნში გამოწყობილ, ხანში შესულ თავიანთ ამხანაგს უსმენდნენ.

— ეგ რა არის! — აუჩქარებლად ამბობდა ის ხრინწიანი ხმით. — სულელს ყველაფერზე ეცინება, ჭკვიანი კი ასწონდასწონის. თქვენ ეგრე განურჩევლად ნუ დასცინით ჩვენს თავმჯდომარე ბატენკოვს.

— ჩვენ გარჩევით დავცინით, — მიუგო ახალგაზრდა მხერხავმა.

— ახლავე დაგიმტკიცებ, რა გარჩევაც შეგიძლია შენ! — გაჯავრებით შეჰპირდა ხანში შესული მხერხავი. — რაზე დასცინით! ყინულსვლის დროს ხუთი კურდღელი რომ გადმოიყვანა ბატენკოვმა მცურავი ყინულიდან, იმიტომ ხომ?

— მაგიტომ როდი დავცინით, ზახარიჩ, — გაუბედავად შეესიტყვა ახალგაზრდა მხერხავი.

— მესმის! — მუქარით ჩაილაპარაკა ხანში შესულმა. — ძალიანაც კარგად მესმის თქვენი, ახალგაზრდებო. თქვენ გიკვირთ, რომ ბატენკოვმა ის კურდღლები, ნაცვლად იმისა, ხახვში მოეხრაკა და არაყთან მიერთმია, მახლობელ ჭალაში გაუშვა. თქვენ რომ გკითხოთ, უაზრო საქციელია არა?

— ნამეტანი გულჩვილია ბატენკოვი, — გაისმა ვიღაცის ხმა სიბნელეში.

— არა, ჩემო ძმაო! ეს გულჩვილობა არ გახლავთ. ეს სულ უბრალო ამბავია. არა სჯობს, გამრავლდეს ის კურდღელი, ვიდრე ტყუილუბრალოდ დაიღუპოს? ჩიტის ბუდე გინახავს? ქვიშის მარცვლებითა და ბუმბულით არის ნაშენები. სიმდიდრეც ეგრევე იქმნება, ჩემო ძმაო, საერთო სახალხო სიმდიდრე. თითო აგური იდება შენობაზე. მერე კი, უცებ გაიხედავ და, მოსკოვისა არ იყოს, ოცდარვასართულიანი ნაგებობა აიმართება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



— დახე ერთი! — თქვა ახალგაზრდა მხერხავმა.

— მაგას „დახე ერთი" არ უნდა! — მიუგო ხანში შესულმა. — ამას ჭკუის დატანება სჭირდება. ჩვენში ერთი ასეთი არაკი იციან. ფუტკარი მდინარეში ჩავარდა, ფრთები დაუსველდა. საცაა აღსასრულიც დაუდგება იმ ფუტკარს. იღუპება! იქვე ბოლოქანქალები დასრიალებენ. შეევედრა ფუტკარი: „მიშველეთ და სამაგიეროს გადაგიხდითო". — „რაში გვჭირდებიო, — მიუგეს ბოლოქანქალებმა. — თაფლს არ გეახლებითო". ამოიოხრა ფუტკარმა. „ეგეც მართალიაო! — თქვა. — რა გაეწყობაო" გაიხედა და დაინახა, რომ მდინარეში ბაყაყი მოცურავდა. „გადამარჩინეო, ახლა იმას შეეხვეწა. ვალში არ დაგრჩებიო". — „მეო, — მიუგო ბაყაყმა, — თაფლის სუნსაც კი ვერ ვიტანო". მაშინ კი ნამდვილად დაღონდა ფუტკარი. ბოლოს დაინახა, რომ შავი შოშია მიფრინავდა მდინარის თავზე. იმასაც სთხოვა! შველა. „კეთილი, — უპასუხა შოშიამ. — ეგრე იყოს, ამოგიყვან. იმიტომ, რომ შენ ადამიანს თაფლს აჭმევ, ადამიანი კი მე საბუდარს მიკეთებსო".

— მერე, ამოიყვანა? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— მაშ! სასარგებლო არსებას ყოველთვის უნდა აღმოუჩინო შემწეობა.

— ნასტიუშა, — ჩუმად უთხრა პატარა გოგონამ თავის თანამგზავრს, — მე ისედაც ამოვიყვანდი ფუტკარს, უთაფლოდაც.

— მართალი ხარ, გოგონი, — ხმადაბლა შენიშნა ტიხონ პეტროვიჩმა. ეს სუსტი, დიდთვალება გოგონა სიბრალულს კი არ იწვევდა მასში, რატომღაც უცნაურად ეკუმშებოდა გული. — აგერ დედას ჰკითხე. ისიც მაგას გეტყვის.

— ეგ დედა კი არ არის, — მიუგო გოგონამ. — ჩემი დაა.

ტიხონ პეტროვიჩმა ბოდიში მოუხადა ქალიშვილს.

— არაფერს, გეთაყვა, — მიუგო მან.

— ეს როგორ მოხდა, დაიებო, — ჰკითხა ტიხონ პეტროვიჩმა, — ასე მარტონი რომ მოგზაურობთ ამ ქვეყანაზე?

— რაზგოვოროვში მივდივართ, — გაუბედავად უპასუხა ქალიშვილმა.

ტიხონ პეტროვიჩი სიბნელეში ვერ არჩევდა მის სახეს, მაგრამ თან თითქოს თვალწინ ედგა მისი მორიდებული თვალები და ისიც, როგორ წეწავდა თავზე მოხვეული თბილი თავსაფრის ფოჩებს.

— ნათესავებთან მიდიხართ?

— არა, — უპასუხა ქალიშვილმა. — მასწავლებლად ვარ დანიშნული რაზგოვოროვში. ჰოდა, მოვემგზავრები... ჩემი დაიკოც თან მომყავს, ჩვენ ახლა მარტონი დავრჩით. მამაჩვენი შორეულ აღმოსავლეთში მსახურობს, დედა კი ორმოცდაორ წელს, ლენინგრადში...

— გასაგებია, — თქვა ტიხონ პეტროვიჩმა. არ დაამთავრებინა ქალიშვილს ამბის მოყოლა. ტიხონ პეტროვიჩი დადუმდა, ქალიშვილიც ჩუმად იყო.

ტიხონ პეტროვიჩმა კალათა გამოსწია, რატომღაც ხელი შეავლო ჩითილებს. ფოთლები დამჭკნარი, ხელისგულივით თბილი, მაგრამ ცოცხალი იყო. „იხარებენ", — გაიფიქრა ტიხონ პეტროვიჩმა, ერთ ხანს იყუჩა, მერე ქალიშვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— გლეხთა სახლში თქვენი წასვლა არა ღირს, ტყუილად დაიქანცებით. ჩვენთან ბინის შოვნა არც ისე ადვილია, ჩემი სახლი კი ჯერჯერობით ცარიელი დგას. ერთი ოთახი თქვენი იყოს, მეორე კი პრაქტიკანტებისათვის, ზაფხულობით ჩამოდიან ხოლმე ჩემთან, მებაღეობას ვასწავლი.

— არა, რას ბრძანებთ, — დაიმორცხვა ქალიშვილმა.

— აბა ახლა ნუ დამიწყებთ წილადობილას, — გაჯავრებით უთხრა ტიხონ პეტროვიჩმა. — ჩემთან მოეწყობით. და, თუ გინდათ, ას წელიწადს იცხოვრეთ.

გემმა საყვირი მისცა. ნაპირზე ფარანი გააქნიეს — მისადგომ ადგილს უჩვენებდნენ. მხერხავები წამოიშალნენ, წეკოს პაპიროსები ჩამუქებულ წყალში გადაყარეს. „სდექ" — გაისმა ზევით, კაპიტნის ბოგურაზე. მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა და მხოლოდ ერთი სუსტი ხმაღა ისმოდა — მდინარის წყალი დუდუნებდა გემის ბორბლებთან.

თავის მოულოდნელ მდგმურებს — ნასტიას და მაშენკას ტიხონ პეტროვიჩმა ერთ-ერთი ქვედა ოთახი დაუთმო. ორივე ოთახი ძველი, ჯერ კიდევ მამისეული ავეჯით იყო გამოჭედილი. სულ ორი ოთახი იყო, მაგრამ იმდენი სხვადასხვანაირი დერეფანი, გადასასვლელი, საკუჭნაო, წინკარი, მინაშენი და კარი ჰქონდა, რომ მაშას პირველ ხანებში თავგზა ებნეოდა, როგორც ტყეში, და სასოწარკვეთით ყვიროდა:

— ნასტია, სადა ხარ? აღარ ვიცი, როგორ გამოვიდე. ნასტია-ა!

ნასტიასთან შეხვედრისას ტიხონ პეტროვიჩი შეცბუნდებოდა ხოლმე. იმისი გაფიქრებისაც რცხვენოდა, რომ ნასტიას და მაშენკას იგი სახლის პატრონად მიაჩნდათ. სახლის პატრონი! როგორი უსიამოვნო სიტყვაა!

ბოლოს და ბოლოს, ვეღარ მოითმინა და ნასტიას უთხრა:

— ანასტასია მიხაილოვნა, იცხოვრეთ ისე, როგორც თქვენს საკუთარ სახლში. ვითომ მე სულაც არ ვიყო აქ. თორემ მეტისმეტად მორიდებულად იქცევით. ჩემს ბაღშიც არ შემოდიხართ და მგონი მაშასაც არ უშვებთ.

— არა, რას ბრძანებთ, — სწრაფად მიუგო ნასტიამ და დამნაშავედ გაიღიმა.

მეორე დილით მაშა გამოჩნდა ბაღში. ეტყობა, ნასტია მართლაც არ უშვებდა მას.

დილდილობით, სანერგეში წასვლამდე, ტიხონ პეტროვიჩი ყოველთვის თავის ბაღში მუშაობდა. ამ დილით ის ახალდარგულ ჩითილებს რწყავდა.

ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო, იმდენად ადრე, რომ მზე ჯიქას ბარდებს არც კი ასცილებოდა და ბაღში გრილოდა. მაგრამ ღობის ჭუჭრუტანებში უკვე იჭრებოდა გრძელი, ვიწრო სხივები და ყველაფერი, რასაც სხივები დაეცემოდა, საოცარ იერს იღებდა.

თუ შუქი იასამნის ბუჩქებს მიადგებოდა, აბრწყინვებული, თითქოს სირცხვილისაგან ალმურმოდებული ყვავილის პაწაწა ჯამებზე თრთოდა ნამის წვეთები. ძველი ხის სკამებზე მოდებული ხავსურა ადუღებულ და იქვე გაციებულ ბრინჯაოს მოგაგონებდათ. ცაცხვის ფოთლები ისეთი თხელი, ნაზი ძაფებით იყო დაძარღვული, ძნელად დაიჯერებდით, რომ ამ ობობას ქსელივით წვრილ ძაფებში ხის წვენი მიედინებოდა.

ტიხონ პეტროვიჩის თანაშემწე პაპა არხიპი კვლებს ბარავდა კუთხეში. დაბარულ მიწას ორთქლი ასდიოდა და ჰაერში ქრებოდა. ბეღურები ბუჩქებზე ჩამომსხდარიყვნენ, არხიპის თავს ზემოთ, და ხან ერთი თვალით დასცქეროდნენ მიწას, ხანაც მეორეთი. მაგრამ ჭიაყელები ჯერჯერობით არ ჩანდნენ. ჯერ არ დამდგარიყო მათი გამოძრომის დრო.

— თქვენა, ჩემო კარგებო, — ეუბნებოდა პაპა არხიპი ბეღურებს, — აქ ტყუილად ჯდომას, გირჩევნიათ კოლმეურნეობის საჯინიბოსთან მიფრინდეთ. პირველი წელი არ არის ალბათ, რაც ამ ქვეყნად ცხოვრობთ, მაგრამ მაინც არაფერი იცით ხეირიანად. ან კი რა მოგეკითხებათ — ფრჩხილის ოდენა ტვინი გიდევთ თავში.

მაგრამ ბეღურები არ უჯერებდნენ პაპას. ისინი ფეხს არ იცვლიდნენ ბუჩქებიდან და თითქოს ლანძღვაც კი დაუწყეს არხიპს.

მოუსვენარი ბერიკაცი იყო არხიპი. ყველაზე მეტი უბედურება მისთვის თანამოსაუბრის გარეშე დარჩენა იყო. ამიტომ ერთხანს იხვნეშა, იფიქრა და მერე ტიხონ პეტროვიჩს უთხრა:

— ცოტა მზეა შენს ბაღში.

ტიხონ პეტროვიჩს ხმა არ ამოუღია.

— ძალზე ცოტაა-მეთქი, გეუბნები, — გაიმეორა არხიპმა. — აბა სანერგეს კი არ შეედრება.

მაგრამ ტიხონ პეტრროვიჩმა ამჯერადაც არაფერი უპასუხა გამოწვევაზე.

„სწყინს, — გაიფიქრა არხიპმა და თავის მხრით თვითონაც იწყინა ცოტათი. — ამ ბოლო ორ დღეში რაღაც უცნაური გახდა ტიხონ პეტროვიჩი, ვერაფერს გაუგებ“.



არხიპის მახლობლად მზის ვარდისფერი შუქი დაეცა მიწას.

— ჰო-ო, — ჩაიბურტყუნა არხიპმა. — მზის ამბავი მგონი ტყუილუბრალოდ წამოვროშე. სულ ტყუილუბრალოდ! ვერც კი მოვასწარი სიტყვის დამთავრება და მზეც აქ გაჩნდა.

არხიპმა თავი ასწია და ბარი ხელში გაუშეშდა: მის ზურგს უკან ექვსიოდე წლის ვარდისფერკაბიანი გოგონა იდგა. ნაწნავებზე ბაფთები ეკეთა და პირი, ეტყობა, ისე საგულდაგულოდ ჰქონდა დაბანილი ცივი წყლით, რომ ლოყები ცისფერ თვალებზე უფრო მეტად უპრიალებდა.

არხიპმა ბარი მიწაში ჩაარჭო, ხელი მოიჩრდილა და გოგონას ისე შეხედა, როგორც მზეს. ტიხონ პეტროვიჩიც გასწორდა და ისიც გოგონას მიაცქერდა.

— რაო, არხიპ, რას იტყვი, — ჰკითხა ტიხონ პეტროვიჩმა და თვალების გარშემო წვრილი, ნაოჭები გაუჩნდა, — მაშ არ არის მზე ჩემს ბაღში?

— ეჰ, რაღა გითხრა! — მიუგო არხიპმა და ტიხონ პეტროვიჩის მსგავსად მასაც გაუჩნდა ყავისფერი ნაოჭები თვალების ირგვლივ. — მდი-იდარი მზე გაქვს, ტიხონ პეტროვიჩ. ნეტავ სად გიშოვნია ასეთი ნერგი? ისეთი რამე გაიზრდება, ცქერით ვერ გაძღები.

მაშას, რა თქმა უნდა, არ ესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ტიხონ პეტროვიჩი და არხიპი. მან გაიღიმა და დარცხვენილმა იკითხა:

— ამ ბაღს რა ჰქვია?

— მაშას ბაღი, — მიუგო ტიხონ პეტროვიჩმა.

მაშამ შეხედა მას, ვერ გაუგო და შუბლი მოჭმუხნა. პაპა არხიპმა კი ღრმად ჩაასო ბარი მიწაში, დიდი ბელტი გადააბრუნა, ნელნელა დაუწყო გაფხვიერება და თქვა:

— მართლაც რომ არავინ იცის, სად იპოვის კაცი და სად დაკარგავს. ბედი გაქვს, ტიხონ პეტროვიჩ. დახე, თურმე როგორ შეიძლება შეტრიალდეს ჩვენი ცხოვრება.

ბეღურებმა ერთადერთი ჭიაყელა დაინახეს არხიპის ფეხებთან, ყველა ერთად მიესია საშინელი ჟივილით და მაშინვე ჩხუბი მოუვიდათ. მაშა კი შესცქეროდა მათ, ტაშს უკრავდა და იცინოდა.

თარგმნა ვ. ძიძიგურმა.








ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, როგორც ყველა ძლიერ მოჭადრაკეს, უყვარდა ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნა. ამოხსნის პროცესი, გონების დაძაბვა და ნებისყოფის მობილიზება მას დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა. ახლობელნი აღნიშნავენ, რომ ვლადიმერ ილიას ძე სწორად და სწრაფად აგნებდა ამოხსნას.

ულიანოვების ოჯახში ბევრს უყვარდა საჭადრაკო კომპოზიცია. ლენინის უმცროსი ძმა დიმიტრი ილიას ძე თვითონ ადგენდა ამოცანებს.

ერთხელ, 1909 წელს, ჟურნალმა „ნივამ“ დასტამბა დიმიტრი ულიანოვის ეს ამოცანა:



**შამათი ორ სვლაში**

გახარებულმა დიმიტრი ილიას ძემ ამოცანა უფროს ძმას გაუგზავნა ჟენევაში. მალე პასუხიც მიიღო:

## სიმბიოზი



სიმბიოზი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ორი სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის ერთად ცხოვრებას ურთიერთსარგებლობის მიზნით. ბუნების ეს თავისებურება მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში მეტად მრავალნაირად არის წარმოდგენილი.

სიმბიოტური ცხოვრების საუკეთესო მაგალითია კიბო-განდეგილისა და აქტინია-ღრუბნაწლავას თანაცხოვრება. ისინი ისე არიან ერთიმეორესთან შეწყობილები, რომ ბუნებაში მათ ცალ-ცალკე ვერ ნახავთ. ეს გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

კიბო-განდეგილს, სხვა კიბოებისაგან განსხვავებით, მუ-

„შენი ამოცანა ადვილად ამოვხსენი. აი, დღეს „რეჩში“ ვნახე ეტიუდი, რომელიც ძალიან მომეწონა და უცბად კი ვერ გადავწყვიტე. ლ ა მ ა ზ ი ეტიუდია!“

ვლადიმერ ილიას ძე აი ამ შესანიშნავ ეტიუდს გულისხმობდა.



**თეთრები იწყებენ და იგებენ**

ამ ნაწარმოების ავტორებმა — ძმებმა პლატოვებმა 1909 წლის საერთაშორისო კონკურსში I ჯილდო მიიღეს.

ძლიერად უნდა თამაშობდე ჭადრაკს, ეს ეტიუდი რომ ამოხსნა. ამავე დროს ჭადრაკის დიდი მცოდნე უნდა იყო, ამ ეტიუდის სინატიფე რომ იგრძნო. როგორც ხედავთ, ვლადიმერ ილიას ძეს ჰქონდა ყოველივე ეს.

ეტიუდის ამოხსნა ნამდვილად ლამაზია. გავაანალიზოთ იგი.

1. კe7 — f6

პაიკი a2 ლაზიერად გასვლას აპირებდა. შავები ხელს როდი იღებენ განზრახვაზე: კუს მოქმედების დიაგონალს უღობავენ...

1... d5 — d4

2. მg1 — e2!

როგორც ირკვევა, ეს მოგებისაკენ მიმავალი ერთადერთი გზაა. მართალია, ეს მხედარი ხელშეუხებელია (2. ... მფ:e2-ს მოჰყვება 3. კ:d4), მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა 2. მf3?

საქმე ის არის, რომ ამ სვლის შემთხვევაში თეთრები მხოლოდ ყაიმს აღწევდნენ. აი, როგორ: 2. ... a1ლ 3. კ:d4+ლ:d4 4. მ:d4 მფ:d4 5. მფg4 მფ:d3 6. მფg5 მფe4 7. მფh6 მფf5 8. მფ:h7 მფf6 9. h6 მფf7, თუ 9. მფg8 მფg5. მაშასადამე, თეთრებს d4-ზე გაცვლა არა აქვთ განზრახული. მაშ, რა?

2. ... a2 — a1ლ

3. მe2 — c1!

ბრწყინვალე მანევრია. პირველ ყოვლისა, შამათის მუქარაა — 4.კg5× თუ 3. ...h6, მაშინ 4.კe5 შამათის მუქარით. მხედრის აყვანაც ხომ აგებს. რჩება: ლაზიერით g5 უჯრის დაცვა.

3. ...ლa1 — a5

4. კf6:d4+

შავები, ყველა ვარიანტში, უფიგუროდ რჩებიან და აგებენ.

4. ...მფe3:d4 5. მc1 — b3+ მფd4:d3 6. მb3:a5 მოგებით.

ეტიუდი დასრულებული მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ახდენს.

ცნობილია, რომ ვლადიმერ ილიას ძეს ამოუხსნია და მოწონებია გამოჩენილი პრობლემისტის (ასე უწოდებენ ამოცანების შემდგენელთ) ო. ვიურცბურგის ამოცანა.






**შამათი სამ სვლაში**

ეს ამოცანა საკმაოდ ძნელი ამოსახსნელია, თუმცა მასში უაღრესად მცირე ძალები მონაწილეობენ. შეეცადეთ ამოხსნათ აქ მოყვანილი ორი ამოცანა.

თენგიზ გიორგაძე.

---

ცელზე აქვს ძლიერ ნაზი გარსი და იგი ადვილად უზიანდება. ამიტომ ის ტანის უკანა ნაწილს პატარა ლოკოკინის ცარიელ ნიჟარაში ათავსებს. წინა ნაწილი და ფეხები კი გარეთ აქვს გამოყოფილი. კიბო ნიჟარას თან ატარებს. ნიჟარაზე ჯდება აქტინია-ღრუნაწლავა, ისე, რომ პირი კიბო-განდეგილის პირთან აქვს ახლო. ამრიგად, კიბო თან ატარებს თავის ბინადარსაც და უნაწილებს იმ საკვებს, რითაც თვითონ იკვებება. სამაგიეროდ, ღრუნაწლავა კიბოს მტრისაგან იცავს, რისთვისაც მას მსუსხავი გამონაზარდები აქვს მომარჯვებული. კიბო დიდი მზრუნველობით ეპყრობა თავის დამცველს, თუ ნიჟარა დაუზიანდა და სხვა ნიჟარაში დაიდებს ბინას, ღრუნაწლავაც თან გადაჰყავს, და ისევ აგრძელებენ მეგობრულ ცხოვრებას.

ზღვის პატარა თევზი, პერკულა, სიმბიოტურად ცხოვრობს გიგანტურ აქტინია-დისკოზომასთან. ეს პაწია თევზი დისკოზომას ძლიერ და მსუსხავ გამონაზარდებს შორის სრულიად უვნებელად და ლაღად დაცურავს. თავისუფლად ჩადის მის საჭმლის მომნელებელ ღრუში, სადაც პოულობს საკვებსა და თავშესაფარს. სამაგიეროდ თავისი მოძრაობით ხელს უწყობს თანაბინადარის სუნთქვას და ეხმარება საკვების მოპოვებაში.

არიან კიდევ ერთგვარი მანათობელი ბაქტერიები, რომლებიც ლოკოკინის ნიჟარაზე ცხოვრობენ. ესენი ამ ნიჟარის მტვერით იკვებებიან, სამაგიეროდ, თავისი სინათლით ლოკოკინას გზას უნათებენ და იზიდავენ პაწაწინა უხერხემლო ცხოველებს, რითაც ლოკოკინები იკვებებიან.

ზოგიერთ მცენარეზე ბინადრობს ერთგვარი პაწაწკინტელა მწერი, რომელსაც ბუგერი ჰქვია. მას ჭიანჭველის საწველ ფურსაც ეძახიან. ჭიანჭველა თავის ულვაშს გაუსვ-გამოუსვამს თუ არა ამ მწერს, ის მაშინვე სითხეს გამოყოფს, რასაც ჭიანჭველა გემრიელად შეექცევა. ჭიანჭველა კი, თავის მხრივ, ბუგერს მტრის თავდასხმისაგან იცავს.

როსტომ ელანიძე.



კიბო-განდეგილისა და აქტინიას სიმბიოზი.

# ლეგენდა ყვავილები

შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთი მოსრა და თბილისს დასცა კარავი. გამარჯვებას ზეიმობდა. დამპყრობელს ულამაზესი ტყვე ქალი მოჰგვარეს. ქალს კალთაზე შვილი ჩაჰფრენოდა და შეშინებული იყურებოდა აქეთ-იქით.

შაჰი გააოცა ასულის მშვენიერებამ, მზად იყო, ყველაფერი დაეთმო, სახელიც, ალაჰიც, ოღონდ კი ამ ქალის გული მოეგო. მიუახლოვდა, უნდოდა დარწმუნებულიყო, მართლა ასეთი მშვენიერი იყო თუ მოეჩვენა?

ქალი ზიზღით განზე გადგა. შაჰს თითზე მოუხვდა ოდნავ ხელი. ტყვემ ის თითი იქვე წაიკვნიტა და მოისროლა. სისხლის დანახვაზე ბავშვმა შეჰკივლა. გამძვინვარებულმა მტარვალმა ხმალი იშიშვლა, ჯავრის ამოყრა ბავშვზე დააპირა, მაგრამ მოხდა სასწაული: შემართული ხმალი ყვავილის ღეროდ იქცა და ალესილი პირის გასწვრივ ნარინჯისფერი ყვავილები დაისხა. ამ ყვავილს დღესაც ხმალას ეძახის ხალხი, ხოლო, თეთრ, ბურცულა ყვავილს კი, რომელიც იმ ადგილზე ამოვიდა სადაც წაკვნეტილი თითი დავარდა, დედოფლისთითას.

გუგული ტოგონიძე.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.





ხელის აქნევა და — ხუთნახევარტონიანი ცხოველი, საათში 40 კილომეტრი სისწრაფით რომ მიჰქრის, ადამიანის წინ ადგილზევე შეშდება. რატომ? ამ საიდუმლოებას მხოლოდ კამერუნის ერთ-ერთი ტომი ფლობს

# შეხვედრა იშვიათი პროფესიის ადამიანებთან

იაკობ გედალის ძე სოლოდუხო პროფესიით ნადირთდამჭერი და მწვრთნელია, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში იგი ცხოველების მომშენებელიც იყო, გადაჰყავ-გადმოჰყავდა ისინი, მკურნალობდა მათ. იჭერდანაირ-ნაირ მხეცებს — თეთრ დათვებს, ლომვეშაპებს, ფოცხვერებს, თახვებს და შვლებს. წვრთნიდა მაიმუნებს და მაჩვებს, სპილოებს და დათვებს. სოლოდუხოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ბევრ ზოოპარკთან, ნაკრძალთან, სანაშენესთან. ამჟამად იგი პენსიონერია.

გთავაზობთ ი. გ. სოლოდუხოს საუბარს თავისი საქმიანობის შესახებ.

რატომ არ გავხდი ვეფხვების დამჭერი?

რატომ მიყვარს გველები?

რატომ მგონია, რომ სპილო ცხოველთა შორის ყველაზე განსწავლულია?

რატომ ვფიქრობ, რომ პატა, ძროხა თუ ქათამი ისევე გამოუცნობნი არიან, როგორც ყველაზე იშვიათი ცხოველები?

— ჩემი პროფესია უწინარეს ყოვლისა მემკვიდრეობითი მიდრეკილებით ავირჩიე. — დაიწყო იაკობ გედალის ძემ. — წარმოშობით სმორგონელი ვარ. სმორგონი ბელორუსიის პატარა ქალაქი იყო, მაგრამ მან საკმაოდ გაითქვა სახელი: აქ წვრთნიდნენ დათვებს. ჯერ კიდევ ასი წლის წინათ, არა მარტო რუსეთში, მთელს ევროპაში დადიოდნენ საბელმობმული დათვები, რომლებსაც ხუმრობით „სმორგონის აკადემიის მოწაფეებს" ეძახდნენ.

დათვის ბელებს შვიდი-რვა თვის ასაკიდან წვრთნიდნენ. იმ დროს სმორგონის გვერდით ხშირი ფიჭვის ტყე იყო გადაჭიმული, სადაც ათიოდე გორაკი აღმართულიყო. გაზაფხულზე ამ გორაკების გარშემო მოუყრიდნენ ხოლმე თავს ბელებს და იწყებდნენ მათს წვრთნას.

წვრთნის ხერხები პრიმიტიული და საკმაოდ მკაცრი იყო. თვითეულ გორაკზე ღრმად ამოთხრიდნენ ორმოს და შიგ სპილენძისიატაკიან რკინის გალიას ჩაუშვებდნენ. გალიაში რამდენიმე ბელს შერეკავდნენ. გორაკის ერთი მხრიდან ორმომდე ხვრელი გაჰყავდათ, სადაც შეშას აწყობდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. გალიის იატაკი თანდათან ცხელდებოდა. სიცხისაგან შეწუხებული ბელები უკანა თათებზე დგებოდნენ და ადგილზე ტოკვას იწყებდნენ.

ამასობაში მწვრთნელი დაირაზე დაკვრას შეუდგებოდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე; გარეთ გამოყვანილი ბელები როგორც კი გაიგონებდნენ დაირის ხმას, მაშინვე უკანა თათებზე დგებოდნენ და ატოკდებოდნენ. ამის შემდეგ მათ სტაფილოთი უმასპინძლდებოდნენ. მწვრთნელ გლეხებს თავისებურად კიდეც უყვარდათ თავიანთი შეგირდები, მაგრამ რა ექნათ, როცა წვრთნის სხვა მეთოდები არ იცოდნენ. ბელები გულწრფელად მებრალებოდნენ. ძალიან მინდოდა რაიმე მომეგონებინა მათი ბედის შესამსუბუქებლად.

ბაზრობები, მოხეტიალე ცირკები გაწვრთნილი მხეცების გარეშე იოლად ვერ გავიდოდნენ ფონს. გულგრილად უყურებდა ბაზრობაზე მოსული ერთი თექვსმეტი წლის ჭაბუკი (ეს იყო ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ) ჟონგლერებს, აკრობატებს, ოინბაზებს. იგი მოუთმენლად ელოდა, როდის გამოიყვანდნენ მხეცებს ქვიშიან არენაზე...

ერთხელ, როცა ერთ-ერთი მოხეტიალე ცირკის გასტროლები დამთავრდა, ჭაბუკმა მშობლიური ქალაქი მიატოვა და მსახიობთა დასს გაჰყვა. ასე განისაზღვრა მისი მომავალი ბედი. მხოლოდ ორჯერ უღალატა იაკობ სოლოდუხომ ნადირთდამჭერისა და მწვრთნელის პროფესიას, და ორჯერვე ოთხ-ოთხი წლით — სამოქალაქო და სამამულო ომების დროს, როცა იგი ჯარისკაცი გახდა.

— ვეფხვები არასოდეს არ დამიჭერია და არც არასოდეს მიფიქრია, ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი; იმიტომ კი არა, რომ მეშინოდა, — მე ეს მავნე საქმედ მიმაჩნია. ამჟამად უსურიის ვეფხვები ზოოპარკებში უფრო ბევრია, ვიდრე ტაიგაში. უნდა მივცეთ მათ საშუალება, ცოტა მაინც გამრავლდნენ. რაც შეეხება ვეფხვებზე ნადირობას, მას შორეულ წარსულში აქვს ფესვები. ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, მაგადანის ოლქში მგელი-ალბინოსი მოკლესო. ეს უკვე ბარბაროსობაა — თეთრი მგელი ხომ უიშვიათესი ცხოველია!

ადამიანის ფსიქიკა ისეა მომართული, რომ ადამიანთა უმრავლესობის ინტერესი ცხოველებისადმი ამ უკანასკნელთა სიდიდის პროპორციულია. სპილოებზე, ვეშაპებზე, ლომებზე საუბარს მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით უსმენენ. თუმცა, ჩემი აზრით, უფრო საინტერესო გახლავთ ჩვენი „პატარა ძმების" სამყარო. ამ სამყაროში ხანდახან ეგზომ ფანტასტიკურ რამეებს აღმოაჩენენ ხოლმე, რომ მეცნიერებიც კი პირველ ხანებში არ ერწმუნებიან თავიანთსავე კოლეგებს, რომლებმაც ყოველივე საკუთარი თვალით ნახეს. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ ვირთაგვები კუდით იჭერენ კიბორჩხალებს, რომ წიწილებს შორის არსებობს მკაცრად დადგენილი იერარქია, რომ კოდალას ერთ-ერთ სახეობას წკირით გამოაქვს მერქნის ნასკრეტებში შემძვრალი ხოჭოები, ხოლო ჭიანჭველები ისე გალოთდებიან ხოლმე, როცა მათს ბუდეში ხოჭოს მიერ შემოტანილ სითხეს ლოკავენ, რომ ჭიანჭველურ სახეს ჰკარგავენ.

მე მუდამ მაინტერესებდა სხვადასხვა მხეცუნები და, როცა უნივერსიტეტის ზოოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე, იმის ნაცვლად, რომ მეცნიერებისთვის შემეწირა თავი, ნადირთდამჭერი და მწვრთნელი გავხდი.

განსაკუთრებით გველები მაინტერესებს.

ძალიან ბევრს გველი არ უყვარს. ეს ისეთივე გაუგებარი რამ არის, როგორც გომბეშოსადმი ზიზღი. გველს ადამიანისთვის სარგებლობა მეტი მოაქვს, ვიდრე ვნება. ადამიანი და გველი ერთმანეთის კონკურენტები არ არიან, მათ ერთმანეთში არაფერი აქვთ გასაყოფი.

გველების უზარმაზარ და მრავალფეროვან სამყაროს თავისი „რჩეულნი" ჰყავს. ეს რჩეულნი მახრჩობელა გველებია.

ჩემს სახლში, როცა მწვრთნელ ისააკიანისათვის მახრჩობელას საცირკო ნომერს ვამზადებდი, დიდხანს ცხოვრობდა მისი ერთ-ერთი „არტისტი" — ანაკონდა ლორა. იგი მე ძალზე შემეთვისა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასე კი იყო. თავისთავად ამ ფაქტმა ძალიან დამაინტერესა. გველის ჩვევები ხომ სრულიად გამოუცნობია. მივლინებაში რომ მივდიოდი, ლორა თან მიმყავდა დიდი კალათით. მახსოვს, სიმფეროპოლში ერთ ჩემს ამხანაგთან ვცხოვრობდი. დილით, ბატარეას რომ გაათბობდნენ, ლორა თბილ მილს შემოეხვეოდა ხოლმე, ღამით კი, როცა გათბობას გამორთავდნენ, ლოგინში შემომიძვრებოდა. საინტერესოა, რომ მას ერთხელაც არ გაუთევია ღამე ჩემი ამხანაგის ახლოს, მხოლოდ ჩემს გვერდით წვებოდა.



ლორას მოვლა დიდ ჯაფას არ მოითხოვდა. გველები, საერთოდ, სუფთები არიან, თანაც მახრჩობელები ძალზე იშვიათად ჭამენ. ლორამ ჩემთან მოყვანის დღიდან მხოლოდ ორას სამოცდამეთექვსმეტე დღეს ჭამა. არ გეგონოთ, ეს დიდი მარხვა იყოს. ერთ ანაკონდას ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არაფერი უჭამია. თუ დავრწმუნდებით იმაში, რომ ეს სრულიად სხვა სამყაროა, ასეთი ფაქტები აღარ გაგვაოცებს.

უნდა შევნიშნო, რომ იმ უამრავ ფანტასტიკურ ამბავთაგან, რომლებსაც უხსოვარი დროიდან ჰყვებიან გველებზე, ბევრი რამ შემოწმებას საჭიროებს, ბევრიც მოგონილია. თუმცა მეც შემემთხვა ერთი კომიკური ამბავი, რომელიც შემდგომ ბევრი, თითქმის ფანტასტიკური მითქმა-მოთქმის წყარო გახდა. თვით ეს ამბავი კი საკმაოდ უბრალო რამ იყო. აი, რა მოხდა:

მე და ჩემმა მეწყვილემ ტალიშის მთებში ორი ტომარა გველი დავიჭირეთ. ტომრები ტყავისა იყო, მაგარი, საიმედო. დავბრუნდით ბაქოში. ტომრები სასტუმროში, ჩვენს ნომერში დავტოვეთ, თვითონ კი თეატრში წავედით.

იმ დროს სპექტაკლები გვიან მთავრდებოდა. მოვედით სასტუმროში და რას ვხედავთ: ყველა ფანჯარა გაჩირაღდნებულია, ირგვლივ ხალხი ირევა, ვიღაცები ქვედა საცვლისამარა დარბიან, მილიცია მოსულა და წესრიგს ამყარებს. როგორც იქნა, შესასვლელამდე გავძვერით. აღმოჩნდა, რომ თურმე მთელს სასტუმროში გველები ფუთფუთებენ, რომლებიც „უცნობ დამნაშავეებს შეუსევიათ". როცა გამოვტყდით, რომ ჩვენი გველები იყვნენ, კინაღამ გამოგვაგდეს სასტუმროდან. მაგრამ გველები ხომ უნდა დაეჭირა ვინმეს, ამას კი ჩვენს მეტი ვინ გაბედავდა!

მოკლედ, შეგვიშვეს ალყაშემორტყმულ შენობაში და შევუდექით ლტოლვილთა ძებნას. სად არ იყვნენ ისინი: კარადებში, საწოლებში, ბატარეების

უკან... დილამდე ვიჯახირეთ. ბოლოს, როგორც იქნა, ყველა თავის ადგილას დავაბრუნეთ. ტომრებს მაგრად მოვუკარით თავი და მორიგისკენ გავსწიეთ იმის მოსახსენებლად, რომ ყველაფერი რიგზე იყო. იქ კი, სასტუმროს მდგმურთა საერთო მოთხოვნის თანახმად, სასტუმროდან გამოგვწერეს.

ამრიგად, დილაუთენია, დაღლილ-დაოსებულნი, უძინარნი, გაბოროტებულნი ბაქოს ერთ-ერთი ბულვარის სკამზე აღმოვჩნდით. გადავწყვიტეთ, როგორც კი ტრანსპორტი მოძრაობას დაიწყებდა, ვაგზალში წავსულიყავით. შფოთიანი ღამის ჯაფით არაქათგამოლეულებს, ერთმანეთზე თავმიდებულებს ჩაგვეძინა. გამომაღვიძა იმან, რომ ჩემი კოლეგა მხარში ჩამჩრენოდა და მთელი ძალით მანჯღრევდა. „გაიღვიძე, იაშა! — გაცოფებული მიყვიროდა იგი. — ტომარა მოუპარავთ". მართლაც ერთი ტომარა ვიღაც ქურდბაცაცას აეწაპნა. თავდაპირველად მეც ბრაზი მომერია, მაგრამ შემდეგ შეუკავებელი ხარხარი ამივარდა. წარმოვიდგინე ქურდის სიფათი, როცა ტომარას თავს მოუხსნიდა...

*ვისაც სოლოდუხო მუშაობის დროს უნახავს, ზოგჯერ ასე ჰგონებია, თითქოს მან მხეცის გულის მომნადირებელი რაღაც საიდუმლო „სიტყვა" იცოდა.*

— რამდენიმე წლის წინათ ვიეტნამიდან ოცდაოთხი დიდი მახრჩობელა ჩამოვიყვანე. საინტერესოდ მიმდინარეობდა საბაჟო შემოწმება. წესის მიხედვით, ყუთიდან თითო-თითოდ უნდა ამომეყვანა მახრჩობელა, შემემოწმებინა და უკანვე ჩამესვა. ყველაფერი ეს ძალზე სწრაფად გავაკეთე. საბაჟოს მოხელეები გაოცებულნი იყვნენ. მთელი „საიდუმლოება" კი იმაში მდგომარეობდა, რომ საკმაოდ გრილოდა — თერმომეტრი რვა გრადუსს უჩვენებდა. ასეთ ამინდში კი არც ერთი გველი არ არის საშიში.

საერთოდ, ეგზოტიკური საქმის მიმდევარი კაცისაგან მაინც და მაინც ამაღელვებელ ამბებს მოელიან: როგორ დაგესხაო ლომი თავს, როგორ დაგგესლაო გველმა, როგორ დაგკბინაო მაიმუნმა...

რასაკვირველია, ცხოველებთან ნახევარი საუკუნის მანძილზე მუშაობის დროს მეც ათასი რამ გადამხდენია. მაგრამ იმ წუთების გახსენება არ მინდა. ყოველი დრამატული ეპიზოდი ხომ ჩვენი მუშაობის წუნია. ხომ არ დაიწყებს არქიტექტორი ხალისით იმის მოყოლას, თუ როგორ დაინგრა მისი პროექტით აშენებული სახლი! ცხოველმა თუ გიკბინა, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ვერ გააკეთე ისე, როგორც საჭიროა, რაღაც ვერ გაითვალისწინე, სადღაც აჩქარდი.

ერთხელ ერთ მესაათესთან კედელზე ასეთი წარწერა ვნახე: „თეორია — ეს ის არის, როცა თავი არაფერს ებმება, მაგრამ ყველას შეუძლია ახსნას, რატომ, პრაქტიკა — ეს ის არის, როცა ყველაფერი ისე კეთდება, როგორც საჭიროა, მაგრამ არავინ არ იცის, რატომ". ამ წარწერამ მაშინ გამაცინა. მაგრამ ხშირად მაგონდებოდა იგი, რაიმეს თავს რომ ვერ მოვაბამდი. როცა ცხოველებთან გაქვს საქმე, წარუმატებლობის მიზეზს უფრო ადვილად ახსნი, ვიდრე წარმატების მიზეზს.

ის ამბავი, რაც მე ჩემს საყვარელ სპილო ეკისთან შემემთხვა, ოცდაათი წლის წინათ მოხდა.

რომელია ცხოველთა შორის ყველაზე განსწავლული? ამის თაობაზე რამდენიმე აზრი არსებობს. ჩემი აზრით, პირველი ადგილი სპილოს ეკუთვნის. ხოლო თვით ეკი „ინტელექტუალური" იყო სპილოებს შორისაც. იგი თვითონ ჰგვიდა თავის სადგომს სპეციალური ცოცხით. წყალი რომ მოუნდებოდა, ეკი ვედროს შეუდგამდა, ონკანს მოატრიალებდა, წყალს მოუშვებდა და შემდეგ ონკანს კეტავდა. წყურვილს რომ მოიკლავდა, ვედროს ყოველთვის თავის ადგილას დგამდა. აბა, როგორ არ შემეყვარებოდა ასეთი ჭკვიანი? და უცებ ეკის უბედურება დაემართა. მისმა ეშვებმა არასწორად იწყეს ზრდა, თანდათან ისე მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ მათ შორის ხორთუმი თითქმის ვეღარ გადიოდა. საჭირო გახდა ეკის ხსნა.



რომელ ვეტერინარ ვარსკვლავს არ მივმართე! სპეციალური კონსილიუმი მოვიწვიე. მაგრამ ოპერაციას ხელს ვერავინ ჰკიდებდა. იძულებული გავხდი მე თვითონ მეკისრა ეს საქმე. დავითანხმე ფერშალი ალექსანდრე პროტოპოპოვი, ჩემი ასისტენტობა გაეწია. საწყობიდან ეკისათვის გამოვიწერე ერთი ყუთი ფორთოხალი, ერთი ტომარა შაქარი და მთელი გორა დოლბანდი.

მჯეროდა — სპილო მიხვდებოდა, რომ ჩვენ მას კეთილი მიზნით „ვესხმოდით თავს". მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, გადავწყვიტე ნარკოზი მიმეცა, მაგრამ ვინ იცის, ალკოჰოლის რა დოზა ითვლება სპილოს ნორმად? იქნებ შეზარხოშებული სულაც გაშმაგდეს? ვფიქრობდით, თავს ვიმტვრევდით, ხან ასე გადავწყვიტეთ, ხან ისე. ბოლოს ოთხი ბოთლი კაჰორი — სადესერტო წითელი ღვინო ორ ვედრო წყალში გავურიეთ და დავალევინეთ.

შევუდექით მუშაობას. ჩემი თანაშემწე განუწყვეტლივ აჭმევს ეკის, მე ქირურგიული ხერხით ეშვის ბოლოს ვხერხავ, ხოლო პროტოპოპოვი გახერხვის ადგილზე მზესუმზირის ზეთს ასხამს, რათა ხერხის ღრჭიალმა არ გაანერვიულოს სპილო. საქმე კარგად მიდის. ეკი მშვიდად დგას, ჭკვიანი თვალებით შემომცქერის. აი, ეშვი უკვე შუამდეა ჩახერხილი... უცებ ხორთუმის საშინელმა დარტყმამ სადგომის მოაჯირს იქით გამტყორცნა. გონი დავკარგე. როდის-როდის ძლივს-ძლივობით წამოვდექი. საქმე ის არის, რომ სპილოს ეშვის შუაში ისეთივე ნერვი გადის, როგორც ჩვენს კბილებში. გასაგებია, რომ ეკიმ ვეღარ გაუძლო ტკივილს, როცა ამ ნერვს შევეხე. ბოლოს თანდათან დამშვიდდა. მორჩილად მოგვიშვირა ეშვი. გადავხერხეთ პირველი ეშვი, შემდეგ მეორეც. იგი უკვე აღარ გვეურჩებოდა.

ამ ამბავში მე ადამიანისადმი ცხოველის დიდმა ნდობამ ამაღელვა. ჩემს აღსაზრდელთა ფსიქოლოგიაში ყოველი მოულოდნელი აღმოჩენა მუდამ სიხარულს მანიჭებდა.

მხოლოდ საჭიროა ცხოველებზე დაკვირვება. ეს ხელოვნება დიდ გამოცდილებას, არაჩვეულებრივ ფანტაზიას და, რაც მთავარია, ჯოჯოხეთურ მოთმინებას მოითხოვს. კონრად ლორენცი ნარცისფე-



## თამაში წყალში

წყალში წელამდე ჩადი და ყირის გაჭიმვა სცადე. თუ ვერ გააკეთე, გულს ნუ გაიტეხ და კიდევ გაიმეორე. ამ ვარჯიშს ის უპირატესობა აქვს, რომ წყალში არც



დაზღვევა გჭირდება და წაქცევისასაც არასოდეს არაფერს არ იტკენ.



წყალში ცოტა ღრმად შეცურე და ფეხქვეშ პენოპლასტის ან ფიცრის ნაჭერი შეიდგი (შეიძლება აგრეთვე რეზინის გაბერილი რგოლი ან ბალიში). ხცადე, იქნებ ზედ ფეხით დადგე, გაიმართე და ხელების დახმარებით ვერტიკალურად იმოძრავე. ცხადია, ის საგანი, რაზეც დგახარ, ფსკერს არ უნდა ეხებოდეს. თუ ამ ვარჯიშს ფიცრით ჩაატარებ, ახლოს არავინ არ უნდა იდგეს, თორემ ფეხქვეშიდან გამოსხლეტილმა ფიცარმა შეიძლება ვინმე დააზიანოს.



პარტნიორები პირისპირ დგებიან, ერთმანეთს ხელს ჩაავლებენ, ზურგზე გადაწვებიან, ფეხებს მუხლებში მოხრიან და ერთმანეთს ფეხის გულებს მიაჭერენ. შემდეგ ფეხებს ერთდროულად გაშლიან, ჰკრავენ და ზურგით გაცურდებიან. ვინც უფრო შორს გაცურდება, გამარჯვებულიც ის იქნება.



აიღე ხელში საცურაო ფიცარი (რგოლი ან ბალიში). ერთ მეტრზე, ან მეტრნახევარზე ჩაყვინთე და სცადე წინ ვინ უფრო მეტზე გასცურავს. თუ ლასტები გაქვს, ეს მოძრაობა უფრო ხალისიანი გასაკეთებელია.

რი ბატების ერთ სახეობას თორმეტი წელიწადი აკვირდებოდა და ბევრი საინტერესო დასკვნა გამოიტანა მათს ჩვევებზე, ქცევის მანერაზე. მაგალითად, მან გამოარკვია, თუ რანაირად ცნობენ ჭუკები დედას კვერცხის გამოტეხისთანავე. ორმა იაპონელმა ბიოლოგმა რვა წელი შესწირა მაიმუნების ჯგუფზე დაკვირვებას, რის შედეგადაც გამოარკვიეს ჯოგში „იერარქიის" სისტემა, ურთიერთ მორჩილების დონე და ა. შ.

აი, ერთი სრულიად არაჩვეულებრივი მაგალითი. ბორის ათანასეს ძე ედერს ასეთი საცირკო ნომერი ჰქონდა მომზადებული — ხუთი ლომის ბოკვერი პატეფონთან. ლომის საუკუნე მოკლეა. თორმეტი წლის ლომი უკვე ღრმა „მოხუცებულია". და აი, ერთ-ერთი „არტისტი" — ლომი ცეზარი დაბერდა. საჭირო შეიქნა მისი „პენსიაზე" გადაყვანა და მოძრავ სამხეცეში გაგზავნა. უნდა ითქვას, რომ სამხეცის დირექტორი აღფრთოვანებით არ შეხვედრია ბებერ ლომს. ცეზარი ერთთავად იწვა თავის კუთხეში. მას ხორცის ნაჭრებს კი არ აჭმევდნენ, როგორც ნადირს შეეფერება, არამედ — ფარშს, რომელსაც თევზის ქონს ურევდნენ.

ერთხელ დირექტორს ეახლა ოდესღაც ამ სამხეცეში მომუშავე ნადირთდამჭერი რომანოვი და უთხრა: რა დროსაც გნებავთ, ცეზარს ზეზე წამოვაყენებო. არავინ არ დაიჯერა ეს. „კარგი, — თქვა რომანოვმა, — დაინიშნეთ დრო, ოცი წუთის მერე ლომი წამოდგება". დაინიშნეს დრო. რომანოვი სადღაც წავიდა. ოცი წუთი რომ გავიდა, ცეზარი წამოდგა, იატაკი მოფხოჭნა, გაიარ-გამოიარა გალიაში, რამდენჯერმე მრისხანედ დაიღრიალა, შემდეგ კი თავისი კუთხისაკენ გაემართა დასაწოლად. ყველა გაოცებული დარჩა. და მაშინ რომანოვმა გაამჟღავნა თავისი საიდუმლოება: მთელი სიცოცხლის მანძილზე ლომი არენაზე იმ დროს გამოდიოდა, როცა უკრავდნენ დუნაევსკის მარშს კინოფილმიდან „ცირკი". საკმარისი იყო სამხეცის ბაღის რეპროდუქტორიდან ნაცნობი მელოდიის პირველი ტაქტები გაეგონა, რომ ლომის ცნობიერებაში „არტისტის" ჩვევები გამოღვიძებულიყო, და მანაც დაიწყო თავისი ძალის დემონსტრირება, როგორც ამას ასწავლიდა მწვრთნელი. ჩვევა, ამბობენ, ცოცხალი არსების მეორე ბუნებაა...

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით ცხოველთა სამყაროს შესახებ. ჯეროვნად არ ვიცნობთ არა მარტო იშვიათ ცხოველებს, ზღვათა სიღრმეებში ანდა ტროპიკულ, უღრან ტყეებში, რომ ბინადრობენ. ჩვენს გვერდით მცხოვრები კატა, ძროხა, ქათამი მნიშვნელოვანწილად გამოუცნობნი არიან. თუმცა, ბიოლოგებმა უკვე დაიწყეს ტექნიკური შეიარაღება, კიბერნეტიკა დაინტერესდა ცხოველთა ფსიქოლოგიით. ყოველივე ამან უკანასკნელ ათწლეულში მკვეთრად უცვალა სახე ბიოლოგიის ხასიათს.

უეჭველია, რომ მომავლის ადამიანი გაიგებს, რას ჭიკჭიკებენ ჩიტები, რას ლაპარაკობს ესა თუ ის ცხოველი. და ალბათ უფრო ნათლად წარმოიდგენს თავის უფლებებსა და მოვალეობებს ყველასადმი, ვინც ჩვენს გვერდით ცხოვრობს საერთო სახლში — დედამიწაზე.

საუბარი ჩაიწერა რ. შჩერბაკოვმა.

„ვოკრუგ სვეტა".

მხატვარი ზ. ფოცხიშვილი.



## ინკვიზიციის ლმობიერების წყალობით

თურმე თამბაქოს წევის მავნე ჩვეულების გავრცელებაში ბრალი მიუძღვის... ინკვიზიციას.

ალბათ იკითხავთ: საიდან სადაო, ინკვიზიციას რა საერთო უნდა ჰქონოდა თამბაქოს წევის ჩვეულებასთანო.

აი, რა მოხდა. პირველი ევროპელი მწეველი, რომელიც XVI საუკუნის დამდეგს თავის



მშობლიური ქალაქის ქუჩებში თავმომწონედ დასეირნობდა პირში სიგარაგაჩრილი, ესპანელი როდრიგო დე იერა გახლდათ. იგი სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში მოგზაურობდა ხოლმე და თამბაქოს წევა იქაურ მკვიდრთაგან ისწავლა. როდრიგო ნათესავებმა ინკვიზიციის მაღალ მოხელეებთან დაასმინეს: ამ ჩვენს მოგზაურს უცხო ქვეყნებში ყოფნისას გვამში ეშმაკი ჩაუსახლდა და მისი ნესტოებიდან გამუდმებით ბოლავს მყრალი კვამლიო.

მაგრამ ინკვიზიტორებმა მიუტევებელი ლმობიერება გამოიჩინეს — როდრიგო გაამართლეს.

პირველი თავგამოდებული მწეველი ინკვიზიციას კოცონზე დაწვით რომ დაესაჯა, იმ დროს ევროპაში ნამდვილად არ გავრცელდებოდა თამბაქოს წევის ჩვეულება.

## საახალწლო ჩვეულებები

კ უ ბ ა შ ი ახალი წლის ზეიმი 24 დეკემბერს იწყება და ორი კვირა გრძელდება. 6 იანვარი პატარა კუბელებისათვის დიდი დღესასწაულის, ე. წ. „სამი მეფის" დღეა (თანახმად ძველი ესპანური საახალწლო ადათისა). რომ შეღამდება, ბავშვები „მეფეებს" წერილებს სწერენ, სადაც გამოთქვამენ თავიანთ სურვილებს, უჩივიან იმ ადამიანებს, რომლებმაც აწყენინეს. ამ წერილებს პატარები თავიანთ გაკრიალებულ ფეხსაცმელებში მალავენ. ფეხსაცმელების გვერდით წყლით სავსე ფინჯანს დგამენ და ერთ ბლუჯა თივას სდებენ აქლემებისათვის, რომლებითაც „სამი კეთილი მეფე" უნდა მობრძანდეს. დილით ფეხსაცმელებში ნახულობენ იმ საჩუქრებს, რომელთა შესახებაც „მეფეებს" სწერდნენ.

ფ ი ნ ე ლ ი თოვლის პაპა ახალ წელს ირმებშებმული მარხილით დაჰქრის სოფლებსა თუ ქალაქებში და ბავშვებს საახალწლო საჩუქრებს ურიგებს.

ახალი წლის წინა ღამეს ყველა ფინელი აბანოში მიდის, რათა მიმავალი წლის ყველა დარდი და საზრუნავი ჩამოირეცხოს. ფინელთა რწმენით, საახალწლო სუფრას ცხრაჯერ მაინც უნდა მიუჯდეს კაცი: რაც უფრო მეტს შეჭამს ოჯახის უფროსი, მით უფრო მეტს იმუშავებს, ეს კი მომავალი წლის დოვლათის საწინდარია.

ქ ა ლ ა ქ ი მ ე ხ ი კ ო ახალი წლის ღამეს ფერად-ფერადი ნათურების შუქით არის გაჩირაღდნებული. ყოველ ბაღსა და პარკში დგამენ ნორჩ მეხიკოელთა ხელით დამზადებულ სანაყრეებს ჩიტებისათვის. მაღაზიებსა და ქუჩებში ყიდიან ღარიბ ბავშვთათვის გაიაფებულ სათამაშოებს. ახალგაზრდობის სახალხო ინსტიტუტი აწყობს მექსიკელ მხატვართა სურათების საახალწლო გაყიდვას. ახალი წლის ღამის ზეიმი მთავრდება ტკბილეულობით გატენილი, ლამაზად მოხატული მინის ვეებერთელა ბურთის ტრადიციული დამსხვრევით.



## საინტერესო ტრადიცია

ინგლისელები მოძველებული ტრადიციების მხარდამჭერებად ითვლებიან, მაგრამ ამ ტრადიციათაგან არის ერთი საინტერესო ტრადიცია, რომელშიაც ერთგვარი ცხოვრებისეული სიბრძნეც არის ჩაქსოვილი. აი, ისიც. ორ თვეში ერთხელ აუცილებლად უნდა გადაისინჯოს საოჯახო ბიბლიოთეკა იმ მიზნით, რომ გადაირჩეს თავისი ნამდვილი პატრონების — მეგობრებისა და ნაცნობებისათვის დასაბრუნებელი წიგნები.



## სრულ სიჩუმეში ვერ იმუშავეს

დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი ფირმის ინჟინრები უცნაურმა მოუსვენრობამ შეიპყრო. არცერთ მათგანს არ შეეძლო მუშაობა.

საქმე ის გახლდათ, რომ ისინი ახალ შენობაში გადაიყვანეს, სადაც სრული სიწყნარე სუფევდა. ამ შენობაში ქუჩაზე მიმავალი მძიმე, საბარგო ავტომანქანების ხმაურიც კი ვერ აღწევდა.

სწორედ იმ იდეალურმა სიჩუმემ გაანერვიულა ინჟინრები. საჭირო შეიქნა მათს ოთახებში საგანგებო მოწყობილობის დადგმა, რომელიც ხმადაბლა ზუზუნებს. ამის შემდეგ მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

## ჯუჯა სპილოებიც ყოფილან

ცენტრალური ეკვატორული აფრიკის ჯუნგლებში რომ ჯუჯა ადამიანები ცხოვრობენ, ეს დიდიხანია ყველამ იცის, მაგრამ მეცნიერებისათვის აქამდე არ იყო ცნობილი, ამავე მიდამოებში ჯუჯა სპილოებიც თუ ბინადრობენ. მათში ყველაზე დიდი სპილოს სიმაღლე 74 სანტიმეტრია, წონა—60 კილოგრამი. დღემდე კი ასე ეგონათ, ზოოლოგებს ყველა სახის სპილო გვყავს შესწავლილიო.



რკინის მილზე ჩამოცმული რეზინის მილების გადაბმისას, ზედ მავთულის დახვევაა საჭირო. მავთუ-



ლის დასახვევად სრულიად არ არის აუცილებელი

ბრტყელტუჩას ხმარება, იგი იოლად სტეხს მავთულს თუ ხელთა გაქვს ღრუგულიანი გასაღები, მაშინ დახედე ნახატს და იოლად მიხვდები როგორ უნდა გააკეთო ეს.



ზეთის საღებავებით გათხვრილი ფუნჯი, რომ არ გახმეს, ფუნჯი გამხსნელ სითხეში ჩადე. ქილას კი ზემოდან პოლიეთილენის პარკი ჩამოაცვი



რამდენიც არ უნდა იწვალო, რკინის ბურთულას გირაგის პირით ვერ გააჩერებ. აიღე ორი ქანჩი და ბურთულებს აქეთ-იქიდან დაუტნიე



გალაქული ქაღალდი, ან ლეიკოპლასტირი, შეიძლება დროებით, ბოთლის თავსაცობად გამოიყენო, გამ[illegible] თუ [illegible] თხე აქროლადია



მჭრელი ხელსაწყოს, მაგალითად, სატეხის შესანახად, კარგი იქნება, თუ ნახმარი ტყავის ქარქაშს გააკეთებ. ტყავი ზომაზე გამოჭერი, პირზე ლეიკოპლასტირი გადააკარი და ქარქაში მზად იქნება.

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


ე. სახვაძე — სიმართლის ფუძე — (ნარკვევი) . . . გვ 1
დ. ივარდავა — გაზაფხულის მოსვლა, ყაჩა ჩემი პატარა მდინარე (ლექსები) . . . . . . 3
მ. ციმერინგი — ლენინი დრეზდენში (მოგონება) . . . . 4
ა. აბულაშვილი — გაზაფხულდება (ლექსი) . . . . . 5
ქ. ტაბატაძე — უკვდავება (მოთხრობა) . . . . . 6
ს. კინწურაშვილი — საბჭოთა არქიტექტურა (წერილი) . 12
ბ. კამენსკი — ზამთრის ყინვა არ აშინებთ... (ფოტორეპორტაჟი) 16
რ. ბარკალაია — სოფლისაკენ (ლექსი) . . . . . 18
ლ. ჯაფარაშვილი — სოფლის ღამე (ლექსი) . . . . . 19
ნ. კერესელიძე — წვიმა (ლექსი) . . . . . . 19
უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი . . . 19
კ. პაუსტოვსკი — მაშა (მოთხრობა, თარგმნა ვ. ძიძიგურმა) 20
თ. გიორგაძე — ლამაზი ეტიუდია! (წერილი) . 23
რ. ელანიძე — სიმბიოზი (წერილი) . . . . 25
გ. ტოგონიძე — ლეგენდა ყვავილებზე (ლეგენდა) . 26
შ ე ხ ვ ე დ რ ა ი შ ვ ი ა თ ი პ რ ო ფ ე ს ი ი ს ა დ ა მ ი ა ნ ე ბ თ ა ნ 27
თ ა მ ა შ ო ბ ე ბ ი . . . . . . 30
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . . 31
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . გარეკ. 3.


გარეკანის პირველ გვერდზე — „სიმღერა". მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი. მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01



საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14
გადაეცა ასაწყობად 19/I-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/II-70 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4 შეკ. № 193. ტირ. 101.700. უე 02809.

ფასი 20 კაპიკი





რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ს ა ტ ე ხ ი

ეს კროსვორდი ისე შეავსეთ, რომ პირველ წრეში მიიღოთ ცნობილი ქართველი ფეხბურთელის სახელი და გვარი (ცენტრში მოთავსებული ასო „ი“ საერთოა.)



1. ქალაქი საბჭოთა კავშირში; 2. მდინარე საბჭოთა კავშირში; 3. ქალაქი საქართველოში; 4. მდინარე საქართველოში; 5. სახელმწიფო აზიაში; 6. სახელმწიფო აზიაში; 7. მდინარე ამერიკაში; 8. მდინარე საბჭოთა კავშირში; 9. ტბა სომხეთში; 10. ქვეწარმავალი; 11. ფრინველი.

მარინე მექოშვილი,
ქარელის მე-2 საშ. სკოლის მოსწავლე.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 2. აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 5. ქალაქი ქართლში; 6. მედიცინის დარგი; 7. ხილი; 10. ა. ყაზბეგის ერთ-ერთი ნაწარმოების გმირი; 12. ქალის სახელი; 14. ოპერა; 17. მტაცებელი ფრინველი; 18. თვე; 19. ქალაქი ქართლში; 20. გამოძახილი, ანუ... 21. სახელმწიფო აზიაში; 24. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 27. კინოთეატრი თბილისში; 29. მთა აღმოსავლეთ საქართველოში; 30. ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქი; 31. მარცვლეული კულტურა; 32. ბოსტნეული.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. მდინარე აზიაში; 3. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 4. გარეული ფრინველი; 5. ლითონი; 8. შინაური ფრინველი; 9. ტაძარი თბილისში; 10. თვე; 11. მამაკაცის სახელი; 12. ცირკის გამოჩენილი მსახიობი; 13. სიტყვის შემადგენელი ნაწილი; 14. სპორტული იარაღი; 15. გარეული ცხოველი; 16. ქალაქი საფრანგეთში; 22. სატელევიზიო დანადგარი მთაწმინდაზე, ანუ... 23. სახელმწიფო ევროპაში; 25. ქალაქი სამხრეთ საქართველოში; 26. ხილი; 28. ადმინისტრაციულ შენობაზე გაკრული წარწერა.

მანანა ზერეკიძე,
გორის რაიონის სოფ. ტირძნისის საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე.



## პასუხი № 2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### თავსატეხი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 57 დ | 18 ი | 45 ბ | 12 ა | 55 ზ | 20 ტ | 43 მ | 24 ი |
| 46 ა | 11 ს | 56 ე | 19 მ | 44 ე | 23 რ | 54 ა | 21 კ |
| 17 ნ | 58 ჩ | 13 ფ | 4 ი | 1 ბ | 6 ა | 25 ს | 42 ა |
| 10 ი | 47 მ | ♞ | 7 რ | 14 ი | 3 დ | 22 ვ | 53 დ |
| 59 ი | 16 რ | 9 ლ | 2 ე | 5 ქ | 28 რ | 41 ღ | 26 პ |
| 48 თ | 35 ნ | 32 ე | 15 ქ | 8 თ | 39 მ | 52 ი | 29 ა |
| 33 რ | 60 ნ | 37 შ | 50 წ | 31 მ | 62 რ | 27 ი | 40 ო |
| 36 ი | 49 ა | 34 ა | 61 ა | 38 ე | 51 მ | 30 ს | 63 ი |

თავსატეხის პასუხია: ბედი ქართლისა, ფიქრნი მტკვრის პირას, მერანი, შემოღამება მთაწმინდაზე, ჩინარი.

### ხელის აუღებლად



### გადაადგილეთ მხედრები

10 — 5, 1 — 8.
11 — 6, 2 — 9.
12 — 7, 3 — 4.
5 — 12, 8 — 3.
6 — 1, 9 — 10.
7 — 6, 4 — 9.
12 — 7, 3 — 4.
1 — 8, 10 — 5.
6 — 1, 9 — 10.
7 — 2, 4 — 11.
8 — 3, 5 — 12.

ИНДЕКС 76157

სხვადასხვა ჟურნალებიდან









6186/60